პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

28 აპრილი კვირა 1974

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 100 (15921)

ფასი 2 კაპ.

გაუმარჯოს ლენინურ კომკავშირს — კომუნისტური პარტიის ერთგულ თანაშემწესა და რეზერვს, კომუნიზმის ახალგაზრდა მშენებელთა მოწინავე რაზმს!

სსკპ ცენტრალური კომიტეტის მოწოდებიდან.

## საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს

[illegible] XXIV ყრილობაზე შემუშავებულ გრანდიოზულ პროგრამას, ცხოვრობენ მეცხრე ხუთწლედის დაძაბული შრომითი რიტმით. ყოველ დღეს მოაქვს ახალი გამარჯვებანი ეკონომიური, სოციალური და კულტურული მშენებლობის ფრონტებზე. თვითეული წარმატება გვიახლოვებს ხვალინდელ დღეს, კომუნიზმის გამარჯვების დღეს.

საბჭოთა მწერლები მთელ ჩვენს მრავალმილიონიან ხალხთან ერთად სულითა და გულით იწონებენ და მხარს უჭერენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს პოლიტიკურ ხაზსა და პრაქტიკულ საქმიანობას, დიდად აფასებენ იმ პირად წვლილს, რომელიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს შეაქვს ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ძლიერების განმტკიცებაში მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის ბრძოლის საქმეში.

საბჭოთა ლიტერატურას წილად ხვდა კეთილშობილური მისია — მხატვრულ ნაწარმოებებში ასახოს ჩვენი დიდებული დრო, შთააგონოს საბჭოთა ადამიანები უფრო დიდი და სახელოვანი აღმშენებლობითი საქმეებისათვის.

ბრძოლა კომუნიზმის იდეების გამარჯვებისათვის შესანიშნავი და ნათელი მიზანია, რომელიც აღაფრთოვანებდა და კვლავაც აღაფრთოვანებს საბჭოეთის ყველა ხალხის ლიტერატურის მოღვაწეებს. ლიტერატურისა და ხელოვნების მაღალი შეფასება, რომელსაც შეიცავს ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის სიტყვა კომკავშირის XVII ყრილობაზე, მისი სიტყვები, რომ საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებები ჩვენი ფასდაუდებელი სულიერი სიმდიდრე, ჩვენი სოციალისტური ეროვნული სიამაყეა, აღაფრთოვანებენ თვითეულ საბჭოთა ხელოვანს.

კომუნისტური პარტიის მრავალმხრივი საქმიანობა, სამშობლოს ერთგული შვილების შრომითი გმირობა მიაჩნიათ მწერლებს თავისი შემოქმედების მთავარ თემად, თავიანთი შთაგონების უშრეტ წყაროდ. ჩვენი ლიტერატურის საუკეთესო ნაწარმოებებში მკაფიოდ და შთამბეჭდავად მოცემულია რევოლუციური მებრძოლების, სოციალიზმის მშენებლების სახეები, რომლებიც საბჭოთა ადამიანების მრავალი თაობის მისაბაძი მაგალითი გახდა.

და რა ჭეშმარიტად გმირულ დროს ვცხოვრობთ ჩვენ ახლა! მართლად და შთამბეჭდავად აღწერო ჩვენი დრო, ჩვენი მოწინავე თანამედროვენი, სამოცდაათიანი წლების კომუნისტები, მეცხრე ხუთწლედის გმირები, — ეს არის სიტყვის ოსტატთა ყველაზე მაღალი და საპატიო მიზანი! ჩვენი ქვეყნის მშრომელები მწერლებისაგან მოელიან ახალ მაღალმხატვრულ ნაწარმოებებს, რომელთა გმირები გაუტოლდებიან ცხოვრების გმირებს. ასეთი ნაწარმოებების შექმნა ჩვენი პასუხი იქნება პარტიის მოწოდებაზე, რომ მთელი ჩვენი ნიჭი მოვახმაროთ კომუნისტური იდეალის დამკვიდრების დიად საქმეს, ახალი ადამიანის აღზრდის საქმეს. ჩვენ კარგად გვაქვს შეგნებული, რომ ამ ამოცანის შესასრულებლად საჭიროა დიდი პასუხისმგებლობა, მხატვრული მომთხოვნელობა, გატაცებული და დაუცხრომელი შემოქმედებითი შრომა.

პირობას ვაძლევთ პარტიას, მის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს, რომ ძალ-ღონეს არ დავიშურებთ, რათა შევქმნათ კომუნიზმის მშენებელთა მკაფიო, შთაგონებული სახეები, უფრო მჭიდროდ დავუკავშიროთ ლიტერატურა ხალხის ცხოვრებას, კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკას. საბჭოთა მწერლებს მთელ მათს მუშაობაში ყოველთვის აღაფრთოვანებენ კომუნიზმის იდეები, ლენინის შესანიშნავი სიტყვები: „პარტია ჩვენი ეპოქის გონება, ღირსება და სინდისია“.

**მწერალთა და კრიტიკოსთა შემოქმედებითი თათბირის მონაწილენი.**



მოსკოვი. კრემლის ყრილობის სასახლეში გაიმართა ალკკ XVII ყრილობის საზეიმო სხდომა, რომელიც მიეძღვნა კომკავშირისათვის ვ. ი. ლენინის სახელის მინიჭების 50 წლისთავს. სურათზე: კომკავშირის ისტორიული მეექვსე ყრილობის დელეგატები მიესალმებიან ალკკ XVII ყრილობის დელეგატებს. საკდესის ფოტო (მიღებულია საქინფორმის ფოტოტელეგრაფით).

## საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს

ჩვენ, სრულიად საკავშირო ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირის XVII ყრილობის დელეგატები, კომკავშირელების, მთელი საბჭოთა ახალგაზრდობის სახელით მამაშვილურ სიყვარულსა და მხურვალე მადლობას ვუძღვნით სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, რომელიც ლენინურად ზრუნავს ქვეყნის ნორჩი თაობისათვის.

კომკავშირელები, ყველა ქალიშვილი და ჭაბუკი, რომლებსაც ფრთა შეასხა პარტიის ბრძნულმა და გულთბილმა სიტყვამ, ლენინური კომკავშირის საქმიანობის მაღალმა შეფასებამ, რომელსაც შეიცავს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მისალმება სრულიად საკავშირო ალკკ XVII ყრილობისადმი, ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის მკაფიო, ღრმა შინაარსიანი სიტყვა, ახალი ენერგიით შეასრულებენ ამოცანებს, რომლებიც მშობლიურმა პარტიამ დაგვისახა.

აპრილის ამ დღეებში ჩვენ ჩვენს საქმეებსა და ფიქრებს კვლავ ვუდარებთ ლენინის ანდერძს. მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრება, ლენინის საქმე უკვდავია. ისინი ცოცხლობენ და იმარჯვებენ კომუნისტური პარტიის, საბჭოთა ხალხის ისტორიულ საგმირო საქმეებში.

ლენინური კომკავშირი, საბჭოთა ახალგაზრდობა ერთსულოვნად იწონებენ და მტკიცედ უჭერენ მხარს კომუნისტური პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკას, სკკპ ცენტრალური კომიტეტის, მისი პოლიტბიუროს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის დაუცხრომელ საქმიანობას პარტიის XXIV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის, სამშვიდობო პროგრამის განხორციელებისათვის.

ლენინური კომკავშირის ძალაა პარტიის ხელმძღვანელობა, მისი უზარმაზარი და ფასდაუდებელი გამოცდილება. სკკპ ცენტრალური კომიტეტის ყოველდღიური ყურადღებისა და ზრუნვის შედეგად იზრდება ლენინური კომკავშირის, როგორც პარტიის საბრძოლო რეზერვისა და საიმედო თანაშემწის, როლი და პასუხისმგებლობა ახალი საზოგადოების მშენებლობაში, მოზარდი თაობის კომუნისტურ აღზრდაში.

ორმოცდაათი წლის წინათ, რუსეთის ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის VI ყრილობაზე, როცა ლენინის სახელი მიიღო, კომკავშირმა დადო წმიდათაწმიდა ფიცი — ყოველთვის და ყველაფერში განუხრელად შეესრულებინა ლენინის ანდერძი. კომკავშირელთა ყველა თაობამ თავისი საბრძოლო და შრომითი საქმეებით დაამტკიცა, რომ ამ საზეიმო ფიცის ერთგული იყო.

დამკვრელობის ესტაფეტა, რომელმაც სტარტი აიღო პირველ კომუნისტურ შაბათობებზე, კომკავშირმა გაატარა მაგნიტკასა და ტურქსიბში, მისი ღირსეული მატარებლები იყვნენ ყამირის ამთვისებლები, ანგარის დამპყრობნი, ტიუმენის მენავთობეები, კამის სავტომობილო ქარხნის მშენებლები — ყველა დამკვრელური კომკავშირული მშენებლობის მონაწილენი. ამ ესტაფეტას დღეს იღებს ათასობით მოხალისე კომკავშირელი ბაიკალ-ამურის მაგისტრალის ტრასაზე, რუსეთის ფედერაციის მთელი არაშავმიწანიადაგიანი ზონის ვრცელ მინდვრებში. 70-იანი წლების კომკავშირელები — ახალგაზრდა მუშები და კოლმეურნეები, სპეციალისტები და მეცნიერები, სტუდენტები და მოსწავლეები, საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მეომრები — თავიანთი ბეჯითი შრომითა და სწავლით იმკვიდრებენ საპატიო და პასუხსაგებ უფლებას ატარონ ლენინის სახელი.

კომკავშირის მთელი საქმიანობა განუყრელად დაკავშირებულია საერთო სახალხო ბრძოლასთან კომუნისტური აღმშენებლობის გრანდიოზული გეგმების განხორციელებისათვის. სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვას პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი — ხუთწლედის მეოთხე, განმსაზღვრელი წელი აღნიშნონ ახალი შრომითი წარმატებებით — მილიონობით ქალიშვილი და ჭაბუკი უპასუხებს თავდადებული, მართლაც რომ დამკვრელური შრომით. დღეს და ხვალ ვიმუშაოთ გუშინდელზე უკეთესად — ასეთია ხუთწლედის ლოზუნგი, რომელიც ლენინური კომკავშირის საბრძოლო დევიზი გახდა.

კომუნისტურმა პარტიამ კომკავშირს დაუსახა უაღრესად დიდმნიშვნელოვანი ამოცანა — საბრძოლო შემართებით მონაწილეობდეს მასობრივ მოძრაობაში მუშაობის მაღალი ხარისხისათვის, ოსტატობისათვის, ქარხნის მარკის ღირსებისათვის.

კომკავშირელები, ქალიშვილები და ჭაბუკები უფრო აქტიურად გამოიჩენენ შემოქმედებითს ინიციატივას და გაბედულ თაოსნობას, სრულყოფენ პროფესიულ ოსტატობას, გაზრდიან შრომის ნაყოფიერებას, გამოუშვებენ მეტ, უკეთესი ხარისხის პროდუქციას უმცირესი დანახარჯებით, მტკიცედ დაიცავენ მომჭირნეობისა და დაზოგვის კურსს. ჩვენს მოვალეობად მიგვაჩნია უფრო მიზანდასახულად ჩავუნერგოთ ახალგაზრდობას კომუნისტური დამოკიდებულება შრომისადმი.

ლენინური კომკავშირი გააძლიერებს ახალგაზრდობის პროფესიულ-ტექნიკური განათლების შეფობას, ზრუნვას და მუდმივ ყურადღებას არ მოაკლებს თვითეულ სასწავლებელს, სადაც ამზადებენ მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის ახალგაზრდა შევსებას.

კომკავშირელები, ქალიშვილები და ჭაბუკები უფრო ღრმად დაეუფლებიან მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიას, თანამედროვეობის ყველაზე მოწინავე რევოლუციურ მოძღვრებას. ჩვენი მაღალი მოვალეობაა განუხრელად ვამტკიცებდეთ სსრ კავშირის ხალხთა ურღვევ მეგობრობას, ახალგაზრდებს ვუნერგავდეთ საბჭოთა პატრიოტიზმსა და სოციალისტურ ინტერნაციონალიზმს, პარტიისა და ხალხის რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი ტრადიციებისადმი ერთგულებას, ბურჟუაზიული იდეოლოგიისადმი შეურიგებლობას. ჩვენს ამოცანად მიგვაჩნია უფრო დაბეჯითებით ვუყალიბებდეთ თვითეულ ახალგაზრდას მაღალ ზნეობრივ თვისებებსა და ესთეტიკურ გემოვნებას, სულიერ სილამაზესა და ფიზიკურ სრულყოფას, ვჭედდეთ მათს მამაცობას, მზადყოფნას დაიცვან ოქტომბრის დიადი მონაპოვრები.

ლენინური კომკავშირი ისე წარმართავს თავის მუშაობას, რომ ახალგაზრდობა განუწყვეტლივ, ბეჯითად და შემოქმედებითად სწავლობდეს, ამდიდრებდეს და აღრმავებდეს თავის ცოდნას, ღირსეული წვლილი შეჰქონდეს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებაში.

ლენინური კომკავშირი განუხრელად გააუმჯობესებს ხელმძღვანელობას პიონერული ორგანიზაციისადმი, სკოლასთან, ოჯახთან და საზოგადოებრიობასთან მჭიდრო კავშირით ჩაუნერგავს პიონერებს, მოსწავლე კომკავშირელებს სამშობლოსადმი თავდადებულ სიყვარულს, ჩინებული სწავლისადმი მისწრაფებას, შრომის უნარს, შრომის პატივისცემას.

პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ერთგული კომკავშირი დაუცხრომლად განამტკიცებს ძმურ მეგობრობას სოციალისტური ქვეყნების ახალგაზრდობასთან.

ჩვენ ვაძრავლებთ ღონისძიებებს საერთაშორისო ახალგაზრდული კომუნისტური და დემოკრატიული მოძრაობის შეკავშირებისათვის ბრძოლაში, ჩვენ სულითა და გულით ვუჭერთ მხარს გმირ ვიეტნამელ ხალხს, რომელმაც დაიცვა თავისუფლება, ჩილელ პატრიოტებსა და დემოკრატებს, რომლებიც მამაცურად იბრძვიან ფაშისტური ტერორის წინააღმდეგ, არაბული ქვეყნების ახალგაზრდობას, რომელიც იბრძვის ახლო აღმოსავლეთის სამართლიანი და მყარი მშვიდობისათვის. საბჭოთა კომკავშირი ყოველთვის იმათთან იქნება, ვინც იბრძვის იმპერიალიზმის წინააღმდეგ, ეროვნული დამოუკიდებლობისა და სოციალიზმის პროგრესისათვის, მშვიდობისათვის, ახალგაზრდობის უკეთესი მომავლისათვის.

ჩვენ კვლავაც განვამტკიცებთ სრულიად საკავშირო ახალგაზრდათა ლენინურ კომუნისტურ კავშირს, სრულვყოფთ კომკავშირულ ორგანიზაციათა საქმიანობას, განვამტკიცებთ დისციპლინას და ჩვენი რიგების ორგანიზებულობას, თვითეულ კომკავშირელს აღვზრდით საბჭოთა ახალგაზრდობის მოწინავე რაზმის წევრის, მაღალი პასუხისმგებლობის სულისკვეთებით. ჩვენ ყოველ ღონეს ვიხმართ, რათა თვითეული კომკავშირის კომიტეტი გახდეს ახალგაზრდობის ნამდვილი ორგანიზატორი შრომაში, სწავლასა და დასვენებაში.

სრულიად საკავშირო ალკკ XVII ყრილობა საჯაროდ აღუთქვამს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რომ ლენინური კომკავშირი კიდევ უფრო შეამჭიდროვებს რიგებს მშობლიური პარტიის გარშემო, მისი ბრძნული ხელმძღვანელობით მაღლა და ამაყად ატარებს ლენინის სახელს, ისწავლის, იმუშავებს და იბრძოლებს ლენინურად კომუნიზმის გამარჯვებისათვის.

გაუმარჯოს დიად საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას და მის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს!

გაუმარჯოს ჩვენს საყვარელ სამშობლოს — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს!

## სიყვარული და მეგობრობა უფრო მრავალმხრივი გახდა...

ეს სტრიქონი ანატოლი სოფრონოვის ლექსიდან, რომელიც მან მწერალთა და კრიტიკოსთა სრულიად საკავშირო შემოქმედებითი თათბირის მუშაობის დღეებში თბილისში დაწერა, გახდა მრავალეროვნული საბჭოთა ლიტერატურის ლეიტმოტივი. საღამო გაიმართა დიდ საკონცერტო დარბაზში და პოეზიის მრავალი მოყვარული მიიზიდა.

პოეზია უპირველეს ყოვლისა! — წერდა დიდი ქართველი პოეტი გალაკტიონ ტაბიძე. მაგრამ არა მარტო ის პოეზია, რომელიც ლამაზია და მსმენელის გულს ესალბუნება, არამედ პოეზია, რომელიც მწყობრში დგას, რომელიც იბრძვის ჩვენს ხალხთან ერთად დიადი საქმეებისათვის, რომელიც გვიხმობს გმირობისათვის სამშობლოს საკეთილდღეოდ.

კომუნისტებო, წინ! ამ სიტყვებით იწყება და მთავრდება პოეტ ა. მეჟიროვის ლექსი, რომლითაც საღამო გაიხსნა.

უკრაინელმა პოეტმა, ოსტროვსკის სახელობის პრემიის ლაურეატმა ბ. ოლეინიკმა საღამოზე წაიკითხა ლექსი „ადამიანები კი მიდიან!“. პოეტმა ამ ლექსში უმღერა გამხეცებული ფაშიზმის წინააღმდეგ ერთმანეთის მხარდამხარ ძმებივით მებრძოლი საბჭოთა ადამიანების მეგობრობასა და ძმობას. ამავე თემას ეძღვნებოდა ბელორუსი პოეტის ა. გრეჩანინოვის ლექსი „სისხლიანი ბალადა“.

ხალხთა ძმობასა და მეგობრობას, განსაკუთრებით ქართველი და სომეხი ხალხების მეგობრობას მიუძღვნეს ლექსები სომეხმა პოეტებმა პ. მიქაელიანმა და ლ. გურუნცმა. მშობლიურ მხარეს, აღორძინებულ აფშერონს, საბჭოთა ხალხთა ძმობას უმღერიან აზერბაიჯანელი პოეტის ი. სეიდოვის ლექსები.

შველივით ტანკერ მეჩაიე ქართველ ქალებს, თავიანთი გმირული შრომით განთქმულ ქალებს მიუძღვნა ლექსი მალყარელმა პოეტმა ს. მაკიტოვმა, ყაბარდო-მალყარეთის პოეტი ა. შოგენცუკოვი კი თავის ლექსებში ადიდებს აღორძინებულ მამათა მხარეს, მეგობრობასა და ძმობას, რომელმაც მის ხალხს მოუტანა ნათელი, ბედნიერი მომავალი.

ლიტველმა პოეტმა ქალმა ი. ვაიჩიუნაიტემ, ესტონელმა პოეტმა ა. სიიგმა, ლატვიელმა პოეტმა ქალმა ა. ალკსნემ წაიკითხეს საბჭოთა ადამიანების სახელოვანი საგმირო საქმეებისადმი მიძღვნილი ლექსები, რომლებიც ახლა წარმატებით ასრულებენ ხუთწლედის მეოთხე, განმსაზღვრელი წლის დავალებებს.

დიდი წარმატება ხვდათ პოეტ ქალებს, რომლებმაც თავიანთ ლექსებში ჩააქსოვეს ქალური სინაზე, ლირიულობა. მე, ძმანო, ნათქვამია ა. ალკსნეს ლექსში, რომ შენთან ყოველთვის თბილა, ჩემი ქვეყნის ჟანგისფერი ბორცვები კი დიდი ხნით იფარება თოვლით. მაგრამ არყის ტყეების თუმცა მკაცრი მშობლიური მხარე ჩემთვის მაინც უსაზღვროდ ძვირფასია.

დარბაზში შეკრებილნი გულთბილად შეხვდნენ პოეტების პ. კრუგენიუკის (მოლდავეთი), ხამზას სახელობის პრემიის ლაურეატის ა. მუხტარისა და შ. ალიმოვის (უზბეკეთი), ა. ატაჯანოვის (თურქმენეთი) ლექსებს. ისინი ქართველ ხალხს ძმურად მიესალმნენ.

25 წლის წინათ, თქვა იაკუტელმა პოეტმა ს. დანილოვმა, პირველად მოვხვდი მშვენიერ საქართველოში, მაშინ თქვენი ბუნებით აღტაცებულმა დავწერე ლექსი „კავკასია“. პოეტმა ეს ლექსი შეკრებილთა ტაშის გრიალში წაიკითხა.

განსაკუთრებული წარმატება ხვდა წილად ჩრდილოელი ოთხი ათასიანი ხალხის — ნივხების წარმომადგენელს, პოეტ ვ. სანგის.

ჩემმა ხალხმა მე-20 საუკუნეში, თქვა მან, ფეხი შემოდგა თავისი პირველყოფილ-თემური წყობილებით, არ ჰქონია დამწერლობა, კულტურა. ოქტომბრის მზის ქვეშ გაიფურჩქნა ჩემი მხარე. დღეს ნივხები დიდი საბჭოთა ქვეყნის სრულუფლებიანი მოქალაქენი არიან, აქვთ თავიანთი დამწერლობა, ლიტერატურა, თავიანთი წვლილი შეაქვთ საბჭოთა ადამიანების მიღწევებში.

საგულისხმოა, თქვა პოეტმა, რომ ჩემი ლექსების პირველი კრებული, ამავე დროს ლექსთა პირველი კრებული ჩემი ხალხის ენაზე გააფორმა ქართველმა მხატვარმა გ. მანტკავამ, რომელიც წარმატებით მუშაობს სახალინზე. პოეტმა წაიკითხა ლექსი „ტალღა“. ამ ლექსში იგი უმღერის ხალხთა მეგობრობით გამთბარ ჩრდილოეთის მკაცრ მხარეს.

მწერალმა ვ. ლიპატოვმა წაიკითხა ნაწყვეტი თავისი რომანიდან.

ჩვენი ხალხების მეგობრობისა და ძმობის აპოთეოზი იყო საღამოზე ა. სოფრონოვის პოემიდან აღებული სიტყვები — მე პატივსა ვცემ ყველა ენას, მაგრამ ყველაზე გასაგებია მეგობრობის ენა!

შეკრებილთა ტაშის გრიალში თავიანთი ლექსები წაიკითხეს ქართველმა პოეტებმა კ. კალაძემ, მ. ფოცხიშვილმა, ი. ნონეშვილმა, აფხაზმა პოეტმა ი. თარბამ.

ამ საღამოს არ ყოფილა „ჩვენი“ და „სხვისი“ პოეტები. სსრ კავშირის ხალხთა მრავალ ენაზე აჟღერებული ლექსები ახლობელი და გასაგები იყო თვითეულისათვის.

საღამოს დაესწრნენ ამხანაგები პ. გილაშვილი, შ. კიკნაძე, ვ. სირაძე, ე. შევარდნაძე, ა. ჩურკინი, თ. მოსაშვილი, შ. ყარყარაშვილი, თ. ჩერქეზია. (საქინფორმი).

## დიდი ლენინის სახელით

### სრულიად საკავშირო ალკკ XVII ყრილობის საზეიმო სხდომა, რომელიც მიეძღვნა კომკავშირისათვის ვ. ი. ლენინის სახელის მინიჭების 50 წლისთავს

ჩვენი სამშობლოს მარადიული სიჭაბუკის განსახიერება უწოდა კომკავშირს ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა სრულიად საკავშირო ალკკ XVII ყრილობაზე წარმოთქმულ სიტყვაში. დღეს საბჭოთა ადამიანები იხსენებენ ოქტომბრის სამშობლოს ახალგაზრდობას სოციალიზმისა და კომუნიზმისათვის ბრძოლის ყველა ეტაპზე, მას უსწორებს თავის ნაბიჯს სამოცდაათიანი წლების ახალგაზრდა გვარდია.

კრემლის ყრილობათა სასახლეში ამაყად აღუმართავთ ყველა თაობის კომკავშირის ბრძოლებისა და გამარჯვებების დროშები, ალისფერი დროშების ქვეშ დარაზმულან განვლილი ისტორიული წლების გმირთა წარმომადგენლები და ჩვენი დროის გმირები — ისინიც, ვინც შტურმით იღებდა ზამთრის სასახლეს, ქმნიდა კომკავშირს და კომკავშირის ყველაზე ნორჩი წევრები — სწავლისა და შრომის წარჩინებულები. პაპები, მამები და შვილიშვილები ერთიან, ერთსულოვან ოჯახად ებებიან ღირსშესანიშნავ თარიღს — ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირისათვის ვლადიმერ ილიას ძე ლენინის დიადი სახელის მინიჭების ორმოცდაათი წლისთავს.

27 აპრილს კრემლის ყრილობათა სასახლეში გაიმართა სრულიად საკავშირო ალკკ XVII ყრილობის საზეიმო სხდომა, რომელიც მიეძღვნა ამ მოვლენას.

მქუხარე ოვაციით, ფეხზე ადგომით შეხვდნენ ყრილობის დელეგატები და სტუმრები ამხანაგებს ლ. ი. ბრეჟნევს, ი. ვ. ანდროპოვს, ა. ა. გრეჩკოს, ვ. ვ. გრიშინს, ა. ა. გრომიკოს, ა. პ. კირილენკოს, ა. ნ. კოსიგინს, თ. დ. კულაკოვს, კ. ტ. მაზუროვს, ნ. ვ. პოდგორნის, დ. ს. პოლიანსკის, მ. ა. სუსლოვს, ა. ნ. შელეპინს, პ. ნ. დემიჩევს, ბ. ნ. პონომარიოვს, მ. ს. სოლომენცევს, დ. ფ. უსტინოვს, ვ. ი. დოლგიხს, ი. ვ. კაპიტონოვს, კ. თ. კატუშევს.

დარბაზში ისმის შეძახილები კომუნისტური პარტიის, მისი ცენტრალური კომიტეტის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სადიდებლად, დიადი საბჭოთა ხალხის, ლენინური კომკავშირის სადიდებლად.

სრულიად საკავშირო ალკკ XVII ყრილობის დელეგატებთან, კომკავშირის ყველა თაობის წარმომადგენლებთან ერთად ღირსშესანიშნავ იუბილეს აღნიშნავენ საზღვარგარეთელი სტუმრები.

საზეიმო სხდომა გახსნა სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. მ. ტიაჟელნიკოვმა.

კომკავშირის მთელი გმირული ისტორია, თქვა მან, დამაჯერებლად მოწმობს, რომ ლენინური კომკავშირი, საბჭოთა ახალგაზრდობა იმ წმიდათაწმიდა ფიცის ერთგულნი არიან, რომელიც დადეს რუსეთის კომკავშირის VI ყრილობის დელეგატებმა ვ. ი. ლენინის სახელი რომ მიიღეს.

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით კომკავშირი ლენინის სახელით ამკვიდრებდა საბჭოთა ხელისუფლებას, მტრულ ქარტეხილებში გამოატარა რევოლუციის ცეცხლოვანი დროშა. ისტორია სამუდამოდ შეინახავს იმ კომკავშირელთა დიდებით მოსილ სახეს, რომლებსაც ბუდიონურა ეხურათ. ლენინის სახელით შთაგონებული მიდიოდა კომკავშირი პირველი ხუთწლედების მშენებლობებზე, ხნავდა პირველ საკოლმეურნეო ყანას.

ლენინის სახელით, თქვა შემდეგ ორატორმა, კომკავშირი ჩვენი სამშობლოსათვის მძიმე ჟამს კომუნისტების მხარდამხარ დადგა სოციალიზმის მონაპოვართა დასაცავად, ჩვენი საყვარელი სამშობლოს დასაცავად. მომავალი თაობები არასოდეს არ დაივიწყებენ დიდი სამამულო ომის ახალგაზრდა გმირებს, რომლებმაც უკვდავება მოიპოვეს. ლენინის სახელით კომკავშირი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, მთელ ხალხთან ერთად ნანგრევებიდან აღადგენდა ქალაქებსა და სოფლებს, ქარხნებს, ითვისებდა ციმბირის, შორეული აღმოსავლეთის, უკიდურესი ჩრდილოეთის სიმდიდრეებს. დამკვრელური კომკავშირული მშენებლობა გახდა კომკავშირელების, საბჭოთა ახალგაზრდობის რევოლუციური შემართების, კომუნისტური პარტიისადმი მათი ერთგულების სიმბოლო.

საერთო-სახალხო გმირობა, კომუნისტების გმირობა, მათი თანაშემწეების — კომკავშირელების გმირობა გახდა ყამირის ეპოპეა. ლენინის სახელით ზრდის კომკავშირი რევოლუციურ მებრძოლთა თაობას, ამკვიდრებს კომუნისტურ მორალსა და ზნეობას, სოციალისტური პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპებს, განამტკიცებს კავშირს იმპერიალიზმის წინააღმდეგ, მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალური პროგრესისათვის მებრძოლ ახალგაზრდებთან.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, რომელმაც სიტყვა წარმოთქვა ჩვენს ყრილობაზე, მაღალი შეფასება მისცა კომკავშირის გმირულ საქმიანობას. „როცა გადავხედავთ გზას, რომელიც კომკავშირმა განვლო, — თქვა ლეონიდ ილიას ძემ, — მის სახელოვან საქმეებს, ყველა საფუძველი გვაქვს ვთქვათ, რომ იგი უდიდესი ღირსებით ატარებს ახალგაზრდათა ლენინური კავშირის საპატიო სახელს“.

ლენინის გზით მიგვიძღვის ჩვენ დიადი და ბრძენი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია. ლენინური იდეების დროშით კომუნისტურმა პარტიამ, მისმა ცენტრალურმა კომიტეტმა შეაკავშირეს ჩვენი ქვეყნის ყველა ეროვნების მშრომელები, ახალგაზრდები, აღზარდეს კომუნიზმისათვის მილიონობით თავდადებული მებრძოლი.

სრულიად საკავშირო ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირის XVII ყრილობას წილად ხვდა დიდი პატივი მოახსენოს საბჭოთა ხალხს, კომუნისტურ პარტიას, მის ცენტრალურ კომიტეტს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, რომ წმიდათაწმიდა და ურღვევია უფროსი თაობისათვის მიცემული ფიცი, რომ ლენინური კომკავშირი ყოველთვის იყო, არის და კვლავაც იქნება კომუნისტური პარტიის ერთგული თანაშემწე, მისი საიმედო რეზერვი, განაცხადა შეკრებილთა ტაშის გრიალში სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა.

დარბაზში თითქოს ცოცხლდება ლეგენდარული ისტორიის ფურცლები. ისმის მელოდია სიმღერისა „ახალგაზრდა გვარდია“. სრულიად საკავშირო ალკკ XVII ყრილობას მიესალმებიან კომკავშირის ისტორიული მეექვსე ყრილობის დელეგატები. სიტყვა წარმოთქვა რუსეთის ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის VI ყრილობის დელეგატმა, გამოჩენილმა საბჭოთა დიპლომატმა ვ. ა. ზორინმა.

ნახევარი საუკუნის წინათ, 1924 წლის ივნისში, ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკის ქალიშვილთა და ჭაბუკთა მოწინავე რაზმმა ფიცი დადო,

(დასასრული მე-2 გვ.).

## საბჭოთა ლიტერატორების საპატიო მისია

**27 აპრილს** მუშაობა დაამთავრა მწერალთა და კრიტიკოსთა სრულიად საკავშირო შემოქმედებითმა თათბირმა. ხუთი დღის მანძილზე მისი მონაწილეები მსჯელობდნენ საბჭოთა ლიტერატორების საპატიო მოვალეობაზე, აღნიშნავდნენ, რომ საბჭოეთის მწერალთა უპირველესი ამოცანაა შექმნან ჩვენი დროის გმირების — კომუნიზმის მშენებელი მშრომელი ადამიანების მკაფიო, დაუვიწყარი სახელები, კიდევ უფრო განამტკიცონ ლიტერატურის კავშირი ხალხის ცხოვრებასთან.

დასკვნით სხდომაზე სიტყვები წარმოთქვეს ტაჯიკმა მწერალმა მ. ფაზლიდინმა, პოეტმა ა. მეჟიროვმა, სომეხმა პროზაიკოსმა ზ. ბალაიანმა, მოსკოველმა კრიტიკოსმა ბ. ვასილიევმა, დაღესტნელმა კრიტიკოსმა კ. აბუკოვმა, მოსკოველმა მწერალმა ი. სტადნიუკმა, ლენინგრადელმა მწერალმა დ. გრანინმა, მოლდაველმა კრიტიკოსმა ხ. კორბუმ, საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ გ. აბაშიძემ.

შეკრებილნი გულთბილად შეხვდნენ თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის ხარატს, ლენინის ორდენის კავალერს ტ. როსტიაშვილს, რომელმაც აღნიშნა, რომ საჭიროა მწერლების უფრო მჭიდრო თანამეგობრობა ფაბრიკა-ქარხნების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მშრომელებთან, რომ საბჭოთა მწერლების ნაწარმოებებში მართლად უნდა აისახოს თანამედროვე ადამიანი, მისი შრომითი გმირობა.

შთაგონებული სიტყვა წარმოთქვა გამოჩენილმა რუსმა მწერალმა, სახელმწიფო პრემიის ლაურეატმა ვ. კატაევმა, მან დამსწრეთ უამბო თავისი შემოქმედებითი გზის შესახებ, დარბაზში მყოფნი აზიარა იმ მღელვარე ამბებს, რომლებიც განიცადა შესანიშნავი ნაწარმოებების — „ფრიალებს აფრა ეულის“, „პოლკის შვილისა“ და სხვათა ავტორმა.

ვ. კატაევმა დამსწრეთ უამბო დაუვიწყარ შეხვედრებზე ნ. კრუპსკაიასთან, მ. გორკისთან, ვ. მაიაკოვსკისთან, ა. ლუნაჩარსკისთან, დ. ბედნისთან, ა. ფადეევთან, მარსელ კაშენთან, ანრი ბარბიუსთან.

თათბირზე საბოლოო სიტყვა წარმოთქვა სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანმა გ. ოზეროვმა.

თათბირის მონაწილეებმა ერთსულოვნად მიიღეს მისასალმებელი წერილი სკკპ ცენტრალური კომიტეტისადმი.

მწერალთა და კრიტიკოსთა შემოქმედებით დასკვნით სხდომაზე იყვნენ ამხანაგები პ. გილაშვილი, ვ. სირაძე, ე. შევარდნაძე, ა. ჩურკინი, შ. ყარყარაშვილი, თ. ჩერქეზია. (საქინფორმი).

# სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში

26 აპრილს მოსკოვში, კავშირების სახლში პ. ნ. ფედოსეევის თავმჯდომარეობით გაიმართა ცენტრალური საარჩევნო კომისიის მორიგი სხდომა. სხდომაზე მოისმინეს მოლდავეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის ა. ნ. კრაჩუნის, იაკუტიის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ა. ი. ოვჩინნიკოვას, სტავროპოლის მშრომელთა დეპუტატების სამხარეო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ი. ტ. ტარანოვის მოხსენებანი არჩევნებისათვის მზადების შესახებ.

საკითხის განხილვაში მონაწილეობდნენ კომისიის მდივანი ი. ვ. კაპიტონოვი, კომისიის წევრები ა. ნ. აქსიონოვი, ბ. ი. არისტოვი, ა. ტ. ბოკარევი, ლ. ი. გრეკოვი, ა. ა. ეპიშევი, მ. მ. მუხამედკულოვი, ვ. ი. პროხოროვი.

ყველა გამოსულმა აღნიშნა, რომ საარჩევნო კამპანია მიმდინარეობს იმ ამოცანების განხორციელებისათვის საყოველთაო-სახალხო ბრძოლის ნიშნით, რომლებიც დაგვისახეს პარტიის XXIV ყრილობამ, პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვამ, ცენტრალური კომიტეტის 1973 წლის დეკემბრის პლენუმზე და ალმა-ათის საზეიმო სხდომაზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლებმა.

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ კმაყოფილებით აღნიშნა, რომ დეპუტატობის პირველ კანდიდატებად მშრომელები ერთსულოვნად ასახელებენ პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ამხანაგ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებსა და წევრობის კანდიდატებს, ცენტრალური კომიტეტის მდივნებს. ამით მკაფიოდ ვლინდება საბჭოთა ხალხის უსაზღვრო ნდობა კომუნისტური პარტიისადმი, მისი შეკავშირება ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო, კომუნისტთა და უპარტიოთა ბლოკის მონოლითური ერთიანობა.

წინასაარჩევნო მუშაობაში ებმებიან მოსახლეობის სულ უფრო ფართო მასები. დროულად, სსრ კავშირის კონსტიტუციისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების შესაბამისად ხორციელდება საჭირო ორგანიზაციული ღონისძიებანი.

კომისიის სხდომაზე განიხილეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის მ. პ. გიორგაძის მოხსენება საარჩევნო კომისიების შექმნის შედეგებზე. შეიქმნა და მუშაობას შეუდგა მოკავშირე, ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქებისა და ეროვნული ოკრუგების ეროვნებათა საბჭოს არჩევნების 53 საარჩევნო კომისია, აგრეთვე 1517 საოლქო საარჩევნო კომისია, აქედან კავშირის საბჭოს არჩევნების 767 საოლქო კომისია და ეროვნებათა საბჭოს არჩევნების 750 კომისია. სულ კომისიების შემადგენლობაშია 17.482 კაცი. აქედან ნახევარზე მეტი მუშები და კოლმეურნეები არიან. კომისიებში 49 პროცენტი ქალია, მესამედი — საბჭოთა ახალგაზრდობის წარმომადგენლები, 47 პროცენტი — უპარტიო. კომისიების თავმჯდომარეებად დამტკიცებულია 789 მუშა და კოლმეურნე, რომლებიც უშუალოდ არიან დასაქმებული წარმოებაში.

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ მოისმინა სსრ კავშირის საზღვაო ფლოტის მინისტრის ტ. ბ. გუჟენკოს, სსრ კავშირის მინისტრების მოადგილეების: გზათა მინისტრისა — ნ. ა. გუნდობინის, გეოლოგიისა — ა. ა. როსნის, თევზის მეურნეობისა—მ. ა. ორლოვის, სამოქალაქო ავიაციისა — ნ. პ. ბიკოვის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილის ვ. ი. კორზუნის, რუსეთის სფსრ სამდინარო ფლოტის მინისტრის ს. ა. კუჩკინის, რუსეთის სფსრ საავტომობილო ტრანსპორტის მინისტრის ე. გ. ტრუბიცინის და სხვა უწყებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელთა ინფორმაციები იმ ამომრჩეველთა არჩევნებში მონაწილეობის უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ, რომლებიც 1974 წლის 16 ივნისს იქნებიან გზაში, სანატორიუმებში, მასობრივი დასვენების ადგილებში, მეცნიერული ექსპედიციების, გეოლოგიური და საძიებო პარტიების შემადგენლობაში, აგრეთვე საზღვაო, სამდინარო, თევზსაჭერი და საექსპედიციო ფლოტის გემებზე, არქტიკისა და ანტარქტიდის პოლარულ სადგურებში არჩევნებისათვის მზადების შესახებ.

კომისიის თავმჯდომარემ პ. ნ. ფედოსეევმა აღნიშნა, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ განხილული საკითხები და ხაზი გაუსვა, რომ საჭიროა კვლავაც უზრუნველვყოთ სსრ კავშირის მთელ ტერიტორიაზე სოციალისტური დემოკრატიის, საბჭოთა საარჩევნო კანონმდებლობის პრინციპების დაცვა. იგი შეეხო საარჩევნო კამპანიის მორიგ ამოცანებს, ყურადღება მიაქცია არჩევნებთან დაკავშირებული ყველა ღონისძიების დროულ განხორციელებას.

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ცნობად მიიღო კომისიის სამდივნოს გამგის ა. ა. კოზლოვის ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ყველა საოლქო კომისიას დროულად ჩაბარდა საჭირო საარჩევნო დოკუმენტაცია. (საქდესი).

# მათ ასახელებს ხალხი

### სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა დასახელება

საბჭოთა ადამიანების ერთსულოვნებისა და მშობლიური კომუნისტური პარტიის გარშემო მონოლითური შეკავშირების ნიშნით, შრომითი და პოლიტიკური აქტივობის ვითარებაში იმართება მთელ ჩვენს ქვეყანაში წინასაარჩევნო კრებები, რომელთა მონაწილენი ასახელებენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად მშრომელები ასახელებენ მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, საბჭოთა ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლებს. კანდიდატებად დაასახელეს ვლადიმირის ოლქის ალექსანდროვის რადიოქარხნის რადიოაპარატურის მემონტაჟე ლუდმილა ვლადიმირის ასული ბეგლიაკოვა, მარიის ასსრ ნახევარგამტარიანი ხელსაწყოების ქარხნის მუშა გალინა ნიკიფორეს ასული დმიტრიევა, ტაჯიკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჯაბარ რასულოვი, პუდოჟის № 116 მოძრავი მექანიზებული რაზმის მომპირკეთებელთა ბრიგადირი ლიდია ივანეს ასული კოროვიაკოვა და კარელიის ასსრ ქიმის ხე-ტყის ქარხნის მეჩარხე ვიქტორ დანიელის-ძე ნაბოკოვი, ნოვგოროდის ოლქის სტარაია რუსის რაიონის ილიჩის სახელობის კოლმეურნეობის მექანიზატორი გენადი კონსტანტინეს-ძე მიშაგინი, კრასნოიარსკის მხარის მინუსინსკის რაიონის კოლმეურნეობა „კრასნი მაიაკის" მექანიზატორი, სოციალისტური შრომის გმირი ალექსი ვასილის-ძე კოჟუხარი.

ქვეყნის სახელმწიფო ძალაუფლების უმაღლესი ორგანოს დეპუტატობის კანდიდატებს შორის არიან ესტონეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ივანე გუსტავის-ძე კებინი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ედუარდ ამბროსის-ძე შევარდნაძე, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე სერგი გიორგის-ძე ლაპინი, ყირგიზეთის სსრ ტოკტოგულის რაიონის ბოკონბაევის სახელობის საბჭოთა მეურნეობის სარძალი კარაჩალ ახანბაევი, ჩიტის ოლქის საბჭოთა მეურნეობა „უნდინსკის" მხვნელ-მთესველი, სოციალისტური შრომის გმირი ნიკოლოზ თადეოზის-ძე უშაკოვი, მაგადანის ოლქის ჩუკოტკის საოლქო აღმასკომის თავმჯდომარე ლიდია გრიგოლის ასული ტინელი, პენზის ოლქის პანკრატოვის მელორეობის ფაბრიკის სასუქებელი ბრიგადის ბრიგადირის თანაშემწე ლუბოვ ივანეს ასული ვლასოვა, ყირგიზეთის სსრ უზგენის რაიონის საბჭოთა მეურნეობა „ალგის" სარძალი, სოციალისტური შრომის გმირი შარაპ ხანჟაროვი.

(საქდესი).




# საბჭოთა დემოკრატიის ნიშნით

### მშრომელთა წარმომადგენლების საოლქო წინასაარჩევნო თათბირები

რესპუბლიკაში მიმდინარეობს მშრომელთა წარმომადგენლების საოლქო წინასაარჩევნო თათბირები. თათბირების მონაწილენი მხურვალედ უჭერენ მხარს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად ხალხის საუკეთესო შვილების დასახელებას. ყველგან, საოლქო თათბირებზე მშრომელები იჩენენ დიდ პოლიტიკურ აქტივობას, ღრმა დაინტერესებას ხუთწლედის მეოთხე, განმსაზღვრელი წლის დავალებათა წარმატებით შესრულებისადმი. ახლა საწარმოებში, მშენებლობებზე, ტრანსპორტზე, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მინდვრებზე ფართოდაა გაჩაღებული ბრძოლა იმისათვის, რათა პირნათლად შეასრულონ შემხვედრი გეგმები და გადიდებული სოციალისტური ვალდებულებანი. ეს პატრიოტული მისწრაფება მკაფიოდ გამოიხატება საოლქო წინასაარჩევნო თათბირებზე მშრომელთა წარმომადგენლების გამოსვლებში.

სოხუმის საქალაქო საარჩევნო ოლქში დიდი პატრიოტული აღმავლობით ჩაიარა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების სოხუმის საქალაქო საარჩევნო ოლქის მშრომელთა წარმომადგენლების წინასაარჩევნო თათბირმა. სოხუმის ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატის სადღესასწაულოდ მორთულ კლუბში, სადაც თათბირი გაიმართა, შეიკრიბნენ მშრომელთა კოლექტივების, პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლები.

სიტყვას იღებს სოხუმის თევზის კომბინატის პარტიული ორგანიზაციის მდივანი მ. ძიგუა. მან აღნიშნა, რომ ოლქის მშრომელებმა თავიანთ წინასაარჩევნო კრებებზე ერთხმად დაადგინეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად სოხუმის საქალაქო საარჩევნო ოლქში დაასახელონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი მიხეილ ანდრიას-ძე სუსლოვი.

წინასაარჩევნო კრებებზე, განაგრძო ორატორმა, მშრომელებმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად სოხუმის საქალაქო საარჩევნო ოლქში აგრეთვე დაასახელეს სოხუმის ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატის პირველი სამკერვალო საამქროს მოწინავე მუშა გალინა ლადიკოს ასული ძაპშიპა.

მ. ა. სუსლოვისა და გ. ლ. ძაპშიპას კანდიდატურებს ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი სოხუმის ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატის პარტკომის მდივანმა ნ. მ. გობეჩიამ, სოხუმის ხორცის კომბინატის ტექნოლოგმა თ. ტ. ჰანბამ და სხვებმა.

სოხუმის საქალაქო საარჩევნო ოლქის მშრომელთა წარმომადგენლების საოლქო წინასაარჩევნო თათბირმა ერთხმად მიიღო დადგენილება, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად სოხუმის № 482 საქალაქო საარჩევნო ოლქში დაასახელონ მიხეილ ანდრიას-ძე სუსლოვი და გალინა ლადიკოს ასული ძაპშიპა.

თათბირის მონაწილეებმა სთხოვეს მ. ა. სუსლოვსა და გ. ლ. ძაპშიპას დათანხმდნენ კენჭი იყარონ სოხუმის საქალაქო საარჩევნო ოლქში.

თათბირის მონაწილეებმა აირჩიეს დეპუტატობის კანდიდატთა ნდობით აღჭურვილი პირნი და მიიღეს მიმართვა ოლქის ამომრჩევლებისადმი.

გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების ცხინვალის სასოფლო საარჩევნო ოლქის მშრომელთა წარმომადგენლების საოლქო წინასაარჩევნო თათბირი.

ცხინვალის სასოფლო საარჩევნო ოლქის მშრომელთა წარმომადგენლების თათბირმა ერთსულოვნად დაადგინა: მოიწონონ გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების ცხინვალის № 737 სასოფლო საარჩევნო ოლქში დაასახელონ ნიკოლოზ ვიქტორის-ძე პოდგორნი და ხაჯიმურატ ისაკის-ძე გოიაევი.




# დიდი ლენინის სახელით

(დასასრული)

რომ მთელ ძალღონეს მოახმარს ლენინის უკვდავი ანდერძის განხორციელებას, თქვა მან. ეს ფიცი კომკავშირმა პირნათლად შეასრულა. მრავალი წლის მანძილზე, ყველა განსაცდელის მიუხედავად, კომკავშირელებს არ უღალატნიათ ამ ფიცისათვის; მათ შრომასა და ბრძოლაში დაამტკიცეს, რომ პარტიის საქმის, ლენინიზმის ნათელი იდეალების ერთგული არიან.

თავისი ამხანაგების — კომკავშირის ვეტერანების სახელით ორატორმა მოუწოდა კომკავშირის XVII ყრილობის დელეგატებს, მთელ საბჭოთა ახალგაზრდობას გაუფრთხილდნენ და ამრავლონ კომკავშირელთა პირველი თაობების დიდებით მოსილი რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი ტრადიციები.

მელოდია სიმღერისა „ჩვენ ვართ მჭედლები!" ჩვენს გულში აცოცხლებს მუშათა კლასის უფროსი თაობის საგმირო საქმეებს. მქუხარე ტაშით შეხვდა დარბაზი მის სახელოვან წარმომადგენლებს — პარტიის ვეტერანებს, კომკავშირის 6, 7, 8 და სხვა ყრილობათა დელეგატებს. მათი სახელით სიტყვა წარმოთქვა 30-იანი წლების წარჩინებულმა მქსოველმა — სტახანოველმა, სრულიად საკავშირო ალკკ საპატიო ნიშნის კავალერმა, სოციალისტური შრომის გმირმა მ. ი. ვინოგრადოვამ.

— ბედნიერი ვარ, რომ ჩემს თაობას წილად ხვდა ძნელი, მაგრამ შესანიშნავი ხვედრი. ჩემი თაობა აშენებდა ამურის კომსომოლსკსა და დნეპროჰესს, კუზნეცკსა და მაგნიტკას, მოსკოვის მეტროსა და სტალინგრადის სატრაქტორო ქარხანას. ყოველივე ეს შენდებოდა გმირი მუშათა კლასის ხელით, კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით.

იმ წლებში მთელ ქვეყანაში თავიანთი რეკორდებით სახელი გაითქვეს სტახანოვმა, ბუსიგინმა, კრივონოსმა. მე და ჩემმა ამხანაგმა დუსია ვინოგრადოვამ ვთქვით, ამ ბიჭებზე ნაკლები რითი ვართ, მსუბუქი მრეწველობა არ უნდა ჩამორჩებოდეს მძიმე მრეწველობას. შეჯიბრებაში გამოვიწვიეთ ტ. ოდინცოვა და საბოლოოდ უკვე 216 დაზგაზე ვმუშაობდით.

მუშათა კლასის გვარდიის წარმომადგენელმა, კომკავშირის XIV ყრილობის დელეგატმა კ. ა. სევერინოვმა ალექსი სტახანოვის სანგრევი ჩაქუჩი გადასცა ახალგაზრდა მეშახტეს ვალერი კურტოვს. ვალერი კურტოვმა მიიღო შრომითი გმირობის ეს სიმბოლო და მამაშვილურად გადაუხადა მადლობა კომკავშირის ვეტერანებს, რომლებმაც ესოდენ ბევრი გააკეთეს სამშობლოს ეკონომიკის განმტკიცებისა და განვითარებისათვის.

სრულდება „ენთუზიასტთა მარში". ქუხს ნაკადად შემოდიან დარბაზში მწვანე სპეციალურ ტანსაცმელში გამოწყობილი ქალიშვილები და ჭაბუკები. სახელოებზე მათ დაბნეული აქვთ ჩვენი საუკუნის ახალი გრანდიოზული მშენებლობის — ბაიკალ-ამურის რკინიგზის ემბლემა. ეს არის სრულიად საკავშირო ალკკ XVII ყრილობის სახელობის დამკვრელური კომკავშირული რაზმი, რომელსაც რამდენიმე საათში მატარებელი გააქროლებს მაგისტრალის მშენებლობაზე.

რაზმის კომისარი ვლადიმერ მუჩიცინი უპატაკებს:

— ამხანაგო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურო მდივანო! ჩვენ, მოსკოვის, ლენინგრადის, ყველა მოკავშირე რესპუბლიკის კომკავშირულ ორგანიზაციათა წარმომადგენლები, მზად ვართ „შევასრულოთ პარტიის უმნიშვნელოვანესი დავალება!

ვფიცავთ, რომ მთელ ძალ-ღონეს, ცოდნას, კომკავშირული გულის მგზნებარებას მოვახმართ კომუნისტური პარტიის საქმეს, კომუნიზმის მშენებლობას!

ვფიცავთ! ვფიცავთ! ვფიცავთ! — ქუხს დარბაზში.

რაზმის მებრძოლებს მიესალმება სოციალისტური შრომის გმირი, მოსკოვის მთავარმშენის კომკავშირულ-ახალგაზრდული სამონტაჟო სამმართველოს უფროსი გ. ვ. მასლენიკოვი:

— თქვენ წილად გხვდათ დიდი პატივი ათას მოხალისეთა შორის პირველებს მიგეღოთ კომკავშირული საგზურები ხუთწლედის უმნიშვნელოვანეს მშენებლობაზე — ბაიკალ-ამურის მაგისტრალზე.

სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა რაზმისათვის დააწესა წითელი დროშა „შრომის ვეტერანები, ხუთწლედის გმირები — საუკეთესო კომკავშირულ-ახალგაზრდულ კოლექტივს". გადმოგცემთ რა ამ საპატიო დროშას, ჩვენ გეუბნებით: ღირსეულად ატარეთ იგი მთელ გზაზე — ლენის ნაპირებიდან სახელოვან ქალაქ ამურის კომსომოლსკამდე. ამრავლეთ თქვენი მამაპაპების შრომითი ტრადიციები.

დამსწრეთა ტაშის გრიალში გ. ვ. მასლენიკოვმა წითელი დროშა გადასცა დამკვრელური სამშენებლო რაზმის მეთაურს ვიქტორ ლაკომოვს.

სრულდება სიმღერა „ჩვენ მივდივართ მეგობრები!" კომკავშირის XVII ყრილობას მიესალმებიან სოფლის მშრომელები — მინდვრებისა და ფერმების სახელოვანი ოსტატები, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ვეტერანები, კომკავშირის მრავალი ყრილობის დელეგატები, სოციალისტური შრომის გმირები.

ტრიბუნაზეა ერთ-ერთი პირველი ყამირელი, სოციალისტური შრომის გმირი ლ. მ. კარტაუზოვი. მან ძნელი, მაგრამ გმირული ცხოვრების გზა განვლო. ომის ფრონტებზე მძიმედ დაიჭრა, უფეხოდ დარჩა. მაგრამ მეგობარი კომკავშირელები დაეხმარნენ და საერთო მწყობრში ადგილი მოუნახეს ლეონიდს. როცა გაისმა კომკავშირული მოწოდება „ყველა ყამირზე!", თქვა მან, განვსაჯე, რომ ჩემი ადგილიც იქ არის.

ამას წინათ ჩვენმა ქვეყანამ ფართოდ აღნიშნა ყამირის ათვისების 20 წლისთავი. კარგად მახსოვს, განაცხადა პირველყამირელმა კრემლის საზეიმო სხდომის ტრიბუნიდან, რაოდენი მამაცობა, გმირობისათვის მზადყოფნა, კომუნისტური პარტიისადმი უსაზღვრო ერთგულება მოეთხოვებოდა თვითეულ ჩვენგანს და ყოველთვის ვგრძნობდით პარტიის ყურადღებასა და ზრუნვას, თქვენს ზრუნვას ძვირფასო ლეონიდ ილიას-ძევ, ჩვენ ვამაყობთ, რომ ყაზახეთის ყამირის პლაცდარმის იერიშს უშუალოდ თქვენ ხელმძღვანელობდით და შემთხვევითი როდია, რომ თქვენთან ერთად, დიდ სამამულო ომში რომ მონაწილეობდით პირველიდან უკანასკნელ დღემდე, თავდადებით იბრძოდნენ პურისათვის ფრონტელი კომუნისტები და ომში გამოწრთობილი კომკავშირელთა თაობა. ძნელია დავასახელოთ ყამირის რომელიმე საბჭოთა მეურნეობა თუ კოლმეურნეობა, სადაც თქვენ არ ყოფილხართ, არ დახმარებიხართ რჩევა-დარიგებით, სიტყვითა და საქმით. ყველა ჩვენგანი თქვენ პირველყამირელთა მთავარსარდალს გიწოდებთ, ჩვენ კი თქვენი თანაპოლკელები ვართ.

ლ. მ. კარტაუზოვმა მიმართა ყრილობის დელეგატებს და თქვა:

— ჩვენმა პარტიამ დასახა თანამედროვე ინდუსტრიალურ საფუძველზე სოფლის მეურნეობის გადაყვანის კურსი. თქვენ, ამ დიდმნიშვნელოვანი ამოცანის შესრულების მონაწილეებმა, უნდა გარდაქმნათ მინდვრები და ფერმები, ნაყოფიერ მიწებად გადააქციოთ ჭაობები და უდაბნოები, აამაღლოთ სოფლების კულტურა და ყოფა-ცხოვრების დონე. ჩვენ, საბჭოთა სოფლის ვეტერანები, იმედითა და რწმენით შევყურებთ ჩვენს ცვლას, ვისაც ვანდობთ სამშობლოს მომავალს. გიყვარდეთ და გაუფრთხილდით მიწას, რომ უფრო მდიდარი და მშვენიერი გახდეს.

ლ. მ. კარტაუზოვმა სოფლის მეურნეობის ახალგაზრდა მშრომელებს გადასცა თავთავი და გუთნის სახნისი — მხვნელ-მთესველის საქმის სიმბოლო.

საჩუქარი მიიღო კომკავშირულ-ახალგაზრდული რგოლის მერგოლურმა მარიამ ჩორბამ, რომელმაც განაცხადა: ვფიქრობ თქვენს გმირულ ცხოვრებაზე, ცხოვრებაზე, რომელიც სიმღერის ღირსია, ვფიქრობ შრომის ვეტერანებზე, რომელთა ბიოგრაფიაში ვხედავთ ჩვენი ქვეყნის, პარტიის, კომკავშირის ცოცხალ ისტორიას, შრომითი გმირობის, სიმტკიცისა და სამშობლოს, მშობლიური მიწა-წყლის ერთგულების მკაფიო მაგალითს.

ჩვენს თვალწინ იცვლება სოფელი, ჩვენ ვიღებთ უახლეს ტექნიკას, რომელიც ძირეულად ცვლის გლეხის შრომას. დღეს კომუნისტური პარტია გვისახავს ამოცანას მოვიყვანოთ ორი თავთავი იქ, სადაც ერთი ხარობდა, განვავითაროთ სოფლის კულტურა და ყოფა-ცხოვრება. ჩვენზე, საბჭოთა გლეხობის ახალგაზრდა თაობაზე სამართლიანად ამყარებენ დიდ იმედებს, რადგან პირადად პასუხისმგებელი ვართ ჩვენი წმიდა მიწის მომავლისათვის.

მარიამ ჩორბამ გმირობის მისამართები უწოდა მინდვრებსა და ფერმებს, მეცხოველეობის კომპლექსებს, მეფრინველეობის ფაბრიკებს. აქ, აღნიშნა მან, შეგვიძლია გამოვიყენოთ ჩვენი ცოდნა, ენერგია, ჩვენი ახალგაზრდა მარჯვენის ძალა.

ჩვენ საჯაროდ ვდებთ პირობას, რომ გვეყვარება და გავუფრთხილდებით ჩვენს მიწას, მთელ ჩვენს ძალღონეს, ცოდნასა და ენერგიას მოვახმართ მშობლიური კომუნისტური პარტიის საქმის, დიდი ლენინის საქმის სამსახურს.

კომკავშირი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისათვის მგზნებარე მებრძოლია. სიჭაბუკე გაბედულად ებმება შემოქმედებით შრომაში, მეცნიერულ ძიებაში, იდუმალის შემეცნებაში. სიჭაბუკე და ოცნება განუყოფელია. „ვიოცნებოთ, უნდა ვიოცნებოთ..." — იმის სიმღერის მელოდია.

დარბაზში შემოდიან სამეცნიერო-ტექნიკური ინტელიგენციის წარმომადგენლები — საბჭოთა მეცნიერების მოწინავენი, ლენინისა და სახელმწიფო პრემიების ლაურეატები, აკადემიკოსები. მათ გვერდში უდგას მეცნიერების მომავალი ცვლა, სტუდენტები, მოსწავლეები.

კომკავშირის XVII ყრილობას მიესალმა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ლებედევის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორი, ლენინური და ნობელის პრემიების ლაურეატი, სოციალისტური შრომის გმირი აკადემიკოსი ნ. გ. ბასოვი. მეცნიერება ყოველთვის ეკუთვნოდა ახალგაზრდობას, თქვა მან. ახალგაზრდებს, რომლებიც ითვისებენ ყოველივეს, რასაც წინათ თაობებმა მიაღწიეს, შესწევთ უნარი ჩამოშორდნენ ბუნების შემეცნების ტრადიციულ გზებს და მოიპოვონ წარმატებანი.

აკადემიკოსმა განაცხადა, რომ განვითარების თანამედროვე ეტაპზე, როცა სამეცნიერო ამოცანების გადაჭრა მიმდინარეობს ტექნიკური კვლევის, ახალი მასალებისა და ტექნოლოგიის შექმნის პარალელურად შემოქმედებითს პროცესში მონაწილეობს სულ უფრო ბევრი ადამიანი — მეცნიერები, სპეციალისტები, მუშები და კოლმეურნეები. სწორედ ამიტომ განსაკუთრებით საჭიროა, რომ ახალგაზრდები სწრაფად პოულობდნენ თავიანთ ადგილს ცხოვრებაში, ავლენდნენ თავიანთ ნიჭს და უნარს, ზედმიწევნით ფლობდნენ თავიანთ პროფესიას, მთელი ცხოვრების მანძილზე ესწრაფვოდნენ ცოდნასა და შემოქმედებას.

მეცნიერმა ახალგაზრდებს უსურვა წარმატებანი შემოქმედებასა და შრომაში. დამსწრეთა ტაშის გრიალში მან ახალგაზრდა თაობის წარმომადგენელს გადასცა თავისებური ესტაფეტა — ლაზერი, რომლის დახმარებით მეცნიერებას იმედი აქვს, რომ უახლოეს მომავალში გადაჭრის მთელ რიგ მნიშვნელოვან ტექნიკურ პრობლემებს.

ჩვენთვის, ახალგაზრდებისათვის, უდიდესი ბედნიერებაა, როცა ვგრძნობთ, რომ დიდი ლენინის ანდერძის განხორციელებისათვის მებრძოლთა საერთო მწყობრში ვართ, თქვა ლენინგრადის საბჭოს სახელობის ტექნოლოგიური ინსტიტუტის სტუდენტმა, ლენინურმა სტიპენდიატმა ნიკოლოზ ლავროვმა, რომელმაც ლაზერის კამერა მიიღო.

საბჭოთა კოსმონავტების სახელით ყრილობის დელეგატებს მიმართა საბჭოთა კავშირის გმირმა ა. ა. ლეონოვმა. მღელვარებით ისმენდნენ საბჭოეთის ახალგაზრდობის წარმომადგენლები მისი სიტყვის ჩანაწერს, რომელიც გადმოსცეს ამერიკის შეერთებული შტატებიდან, სადაც ჩვენი კოსმოსის პირველმკვლევნი ემზადებიან ამერიკელ კოლეგებთან ერთობლივი ფრენისათვის.

ასეთი ფრენა, თქვა ა. ა. ლეონოვმა, შესაძლებელი გახდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, მისი პოლიტბიუროს, პირადად სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის დაუცხრომელი, მიზანდასახული მუშაობის შედეგად, რომელიც მიმართულია სკკპ XXIV ყრილობაზე შემუშავებული მშვიდობის პროგრამის განხორციელებისათვის.

კომკავშირის XVII ყრილობის დელეგატებმა შვილური მადლობა გადაუხადეს მშობლიურ კომუნისტურ პარტიას, რომელიც დღენიადაგ ზრუნავს ახალგაზრდობის სულიერი განვითარებისათვის, იმისათვის, რომ იგი ეზიაროს მსოფლიო და ჩვენს მრავალეროვნულ ლიტერატურისა და ხელოვნების საგანძურს, დარბაზში გაისმის სიმღერა „ლაპარაკობს კომკავშირი" და ყრილობა მიესალმება შემოქმედებითი ინტელიგენციის სხვადასხვა თაობის წარმომადგენლებს — ცნობილ მწერლებს, მსახიობებს, მხატვრებს, კულტურის თვალსაჩინო მოღვაწეებს.

შეკრებილთ მიესალმა სსრ კავშირის სახალხო არტისტი, კინორეჟისორი ს. ა. გერასიმოვი.

— დღეს თქვენ აქ მოგესალმებათ კომკავშირის მთელი ისტორია, უფრო ზუსტად კი, ჩვენი დიადი საბჭოთა კავშირის მთელი ისტორია... თაობები ყველა ქვეყანაში, ყველა საზოგადოებაში იცვლება, მაგრამ ახალგაზრდობა მხოლოდ ჩვენშია სრულად ბედნიერი, რადგან, საბოლოო ანგარიშით, ადამიანის ბედნიერებაა თავისუფლად გააზრებული შრომა. სწორედ ამ სიმდიდრეს და ბედნიერებას გულისხმობდა ვ. ი. ლენინი, როცა ახალგაზრდებს უანდერძა სწავლა, სწავლა და სწავლა. მისი ეს მოწოდება არასოდეს არ დაკარგავს ძალას და შესანიშნავად აისახა ლენინური კომკავშირის საუკეთესო საქმეებით.

ს. ა. გერასიმოვმა ყრილობას მიართვა ნიკოლოზ ოსტროვსკის წიგნი „როგორ იწრთობოდა ფოლადი" — რომანის პირველი გამოცემა მწერლის ავტოგრაფით.

ძვირფასი რელიკვია მიიღო მსახიობმა ვლადიმერ კონკინმა, რომელიც პავკა კორჩაგინის როლს ასრულებს ამ უკვდავი წიგნის ეკრანიზაციაში. მან გაიმეორა გმირი მწერლის სიტყვები, რომლებიც სიჭაბუკის დევიზი გახდა: „მხოლოდ წინ, მხოლოდ ცეცხლის ხაზზე".

ჩვენს მასწავლებლებს, უფროს ამხანაგებს, თქვა ახალგაზრდა მსახიობმა, შემოქმედება ყოველთვის თავიანთ პარტიულ მუშაობად მიაჩნდათ. ჩვენ ყოველ ღონეს ვიხმართ, რათა მათი ღირსეული გამგრძობნი ვიყოთ. შემოქმედებითი ახალგაზრდობა ყოველთვის მაღლა ატარებს საბჭოთა ხელოვნების დროშას.

საზეიმო სხდომის მონაწილეებს მიესალმნენ გამოჩენილი საბჭოთა სპორტსმენები, ოლიმპიური ასპარეზობების, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონები.

ტრიბუნაზეა სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი, ჩვენი ქვეყნის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდის სახელგანთქმული მეკარე ლ. ი. იაშინი.

აქ, ყრილობაზე, განაცხადა მან, ჩვენ, სპორტის ვეტერანები, უდიდეს მღელვარებას განვიცდით. ყველა ჩვენგანმა ხომ ლენინური კომკავშირის რიგებში გაიარა იდეური წრთობისა და მოქალაქეობრივი სიმწიფის შესანიშნავი სკოლა. განსაკუთრებით გვახარებს, რომ ახლანდელი თაობა წმიდად ინახავს და ამრავლებს საბჭოთა სპორტის ტრადიციებს.

ლ. ი. იაშინმა ახალგაზრდებს გადასცა სპორტული დიდების სიმბოლო — ლენტი ჩემპიონთა პირველი მედლებით, რომლებიც საბჭოთა სპორტსმენებმა მოიპოვეს უდიდეს საერთაშორისო შეჯიბრებებში.

ახალგაზრდა საბჭოთა სპორტსმენების სახელით სსრ კავშირის სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ვლადისლავ ტრეტიაკმა გულითადი მადლობა გადაუხადა ვეტერანებს მამობრივი დარიგებისათვის, ნდობისათვის. ვეტერანთა განაწესის პასუხად მან დადო პირობა, რომ საბჭოთა სპორტსმენები კვლავაც ასევე მამაცურად, შეუპოვრად და მტკიცედ იბრძოლებენ ახალი გამარჯვებების მოსაპოვებლად.

იმათი სახელით, ვინც ხმლით უტევდა ინტერვენტებსა და თეთრგვარდიელებს, იბრძოდა ესპანეთის მცხუნვარე მზის ქვეშ, ხალხინგოლსა და ხასანზე, დიდი სამამულო ომის ფრონტებზე, ყრილობას მიესალმა სამგზის საბჭოთა კავშირის გმირი ი. ნ. კოჟედუბი.

საბჭოთა ახალგაზრდობას, ლენინურ კომკავშირს აკისრია ერთ-ერთი ყველაზე საპატიო მოვალეობა — დაიცვას სამშობლო. პარტიისა და ხალხის ძალის უსაზღვრო რწმენით გამოვიარეთ ჩვენ დიდი სამამულო ომის ბრძოლები. საბჭოთა კავშირის გმირთა შვიდი ათასზე მეტი ოქროს ვარსკვლავი, რომლებიც სამშობლომ მიანიჭა კომკავშირის აღზრდილ მეომრებს, შენს ჯილდოებად მიგვაჩნია, ლენინურო კომკავშირო. თვითეული ჩვენი გმირობა ძაფია, რომლითაც ნაქსოვია შენი წითელი დროშა.

ომის ვეტერანმა კომკავშირელებს მოუწოდა: „სწორება — გამარჯვების დროშაზე."

კრემლის ყრილობათა სასახლეში იგრიალა სასულე ორკესტრმა. საზეიმო მარშით შემოვიდნენ სამოქალაქო ომისა და სამამულო ომის სახელოვანი ვეტერანები.

საპატიო ყარაულის მეომართა თანხლებით დარბაზში შემოიტანეს საბრძოლო დიდების დროშები — წითელდროშოვანი, ოქტომბრის რევოლუციის ორდენოსანი კრეისერ „ავრორას" გვარდიული ალამი, ცხენოსანთა პირველი არმიის დროშა, გამარჯვების ლეგენდარული დროშა, რომელიც რეიხსტაგის თავზე აფრიალეს.

სრულიად საკავშირო ალკკ XVII ყრილობის სახელით წამოაყენეს წინადადება, რომ დიდების გირლანდებით შეამკონ ვ. ი. ლენინის მავზოლეუმი და უცნობი ჯარისკაცის საფლავი. ისმის მელოდია სიმღერისა „ლენინი მარად ცოცხალია". დარბაზში მყოფნი ფეხზე დგებიან. ყრილობის დელეგატთა ორ ჯგუფს — ყველა მოკავშირე რესპუბლიკის წარმომადგენლებს, გამოაქვთ დიდების გირლანდები და წითელი მოედნისკენ მიემართებიან.

მარშის თანხლებით დარბაზში შემოდიან მეომრები სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების ყველა გვარეობის ჯარების წარმომადგენლები. სიტყვა ეძლევა პოდპოლკოვნიკ ვ. ი. ბორისოვს.

თვითეული ჩვენგანის ფიქრები და საქმეები, — თქვა მან, — მიმართულია კომუნისტთა დიადი პარტიისაკენ, უკვდავი ლენინისაკენ, ვის სახელსაც უკვე ნახევარი საუკუნეა ღირსეულად ატარებს ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირი. ჩვენ ვამაყობთ, რომ ახალგაზრდა ლენინელთა კავშირის წევრები ვართ, ვამაყობთ საბჭოთა მეომრის საპატიო წოდებით.

ჩვენი უფროსი ამხანაგებისა და დამრიგებლების — კომუნისტების წინაშე, საბჭოთა არმიისა და ფლოტის ვეტერანების წინაშე, გამარჯვების დროშების წინაშე საჯაროდ ვაცხადებთ, რომ ჩვენი საქმეებით ღირსეულად განვაგრძობთ ჩვენი შეიარაღებული ძალების სახელოვან საბრძოლო ტრადიციებს.

პირობას ვაძლევთ კომუნისტურ პარტიას, ლენინურ კომკავშირს, რომ საბჭოთა მეომრები კვლავაც ფხიზლად იდგებიან სოციალიზმის სადარაჯოზე, მზად არიან ყოველ წუთს მოიხადონ თავიანთი პატრიოტული და ინტერნაციონალური ვალი.

უდიდესი აღმავლობით, ხანგრძლივი, მქუხარე ტაშის გრიალში დელეგატებმა ერთსულოვნად მიიღეს სრულიად საკავშირო ალკკ XVII ყრილობის მისასალმებელი წერილი სკკპ ცენტრალური კომიტეტისადმი.

დარბაზში კვლავ იქუხა ოვაციამ, როცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა მიიღო პატაკი ლენინური კომკავშირის, საბჭოთა ახალგაზრდობის გმირული საქმეების შესახებ. პიონერებმა პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებს მიართვეს წითელი მიხაკების თაიგულები.

კომკავშირის უმაღლესი ორგანო — სრულიად საკავშირო ყრილობა მუშაობას ამთავრებს. სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. მ. ტიაჟელნიკოვმა ყრილობის სახელით, 34-მილიონიანი ლენინური კომკავშირის სახელით აღუთქვა ჩვენს დიად და ბრძენ კომუნისტურ პარტიას, მის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს, რომ ლენინური კომკავშირი ყოველთვის პარტიის მიმდევარი, მისი ერთგული და მებრძოლი თანაშემწე, საიმედო რეზერვი იქნება, რომ კომკავშირელები, საბჭოთა ახალგაზრდობა ისწავლიან, იმუშავებენ და იბრძოლებენ ლენინურად, კომუნისტურად.

სრულიად საკავშირო ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირის XVII ყრილობა დახურულად ცხადდება. დელეგატები და სტუმრები მღერიან „ინტერნაციონალს".

და კვლავ ქუხს ოვაცია. გაისმის შეძახილები საბჭოთა ხალხის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სადიდებლად. დარბაზში გაისმის მძლავრი „ვაშა!" დელეგატები ერთხმად გაიძახიან: „ლენინი!", „პარტია!", „კომკავშირი!".

* * *

საზეიმო სხდომის მონაწილეებისათვის კრემლის ყრილობათა სასახლეში გაიმართა ხელოვნების ოსტატთა დიდი კონცერტი.

(საქდესი).

# სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

26 აპრილს გაიმართა სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხები.

სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად პლენუმმა აირჩია ე. მ. ტიაჟელნიკოვი.

სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივნებად აირჩიეს ბ. ნ. პასტუხოვი, ს. გ. არუთინიანი, ვ. ვ. გრიგორიევი, ვ. ა. ქიტენევი, ლ. ი. მატვეევი, ზ. გ. ნოვოჟილოვა, დ. ნ. ფილიპოვი, ვ. ს. იაროშევიცი.

ვ. ი. ლენინის სახელობის სრულიად საკავშირო პიონერული ორგანიზაციის ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარედ პლენუმმა დაამტკიცა ა. ვ. ფედულოვა.

გაიმართა სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური სარევიზიო კომისიის სხდომა, მის თავმჯდომარედ აირჩიეს ვ. ბ. არსენტიევი. (საქდესი).



# თბილისში გაიხსნა მ. გორკის ძეგლი

„მიყვარს მშვენიერი საქართველო და, განსაკუთრებით, რევოლუციური საქართველო. ჩემს ცხოვრებაში ბევრია საქართველოსთან დაკავშირებული ძვირფასი სახელი და მოგონება" — ალექსი მაქსიმეს-ძე გორკის ეს სიტყვები საუკეთესოდ გამოხატავენ დიდი მწერლის დამოკიდებულებას საქართველოსა და ქართველი ხალხისადმი. თბილისის შესახებ გორკი წერდა: „არასოდეს არ მავიწყდება, რომ სწორედ ამ ქალაქში გადავდგი პირველი, გაუბედავი ნაბიჯი იმ გზით, რომელსაც უკვე ოთხი ათეული წელია ვადგავარ".

დიახ, გორკი, მისი შემოქმედება განუყრელად დაკავშირებულია საქართველოსთან. სწორედ აქ, ჩვენს მიწა-წყალზე, დაიბადა იგი როგორც მწერალი. სწორედ აქ დაწერა მან პირველი მოთხრობა „მაკარ ჩუდრა", რომლითაც დაიწყო მისი დიდი ლიტერატურული გზა.

და ღრმა შინაარსია ჩაქსოვილი იმაში, რომ სწორედ აქ, საქართველოს დედაქალაქში, აღიმართა დიდი პროლეტარული მწერლის, სოციალისტური რეალიზმის ფუძემდებლის მაქსიმ გორკის ძეგლი.

27 აპრილს, მწერალთა და კრიტიკოსთა სრულიად საკავშირო შემოქმედებითი თათბირის დახურვის დღეს, ცხრა იანვრის ქუჩაზე, სკვერში, სადაც აღიმართა შესანიშნავი მწერლის ძეგლი, მოვიდნენ თათბირის მონაწილენი, ქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, პარტიული და საბჭოთა მუშაკები, მოსწავლე ახალგაზრდობა. ძეგლის გახსნაზე იყვნენ ამხანაგები პ. გილაშვილი, ზ. პატარიძე, ვ. სირაძე, ე. შევარდნაძე, ა. ჩურკინი, ო. ჩერქეზია.

მაქსიმ გორკის ძეგლის გახსნისადმი მიძღვნილი მიტინგი გახსნა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ბ. ლობჟანიძემ.

სიტყვა წარმოთქვა საქართველოს მწერალთა კავშირის პირველმა მდივანმა თ. ბუაჩიძემ.

დღეს ჩვენ ვხსნით ალექსი მაქსიმეს-ძე გორკის ძეგლს, — თქვა მან, და ამით კიდევ ერთხელ გამოვხატავთ ჩვენს დიდ სიყვარულსა და პატივისცემას სოციალისტური რეალიზმის ფუძემდებლისადმი, ყოველი ჩვენგანისათვის ძვირფასი და ახლობელი ადამიანისადმი. აქ, ამ ქალაქში, თბილისის გაზეთ „კავკაზის" ფურცლებზე პირველად გაისმა მძლავრი ხმა მანამდე უცნობი რუსი ჭაბუკისა, რომელიც შემდეგ გახდა დიდი რუსი მწერალი, ახალი სოციალისტური სამყაროს პირველი მწერალი.

მიტინგზე სიტყვები წარმოთქვეს ცნობილმა რუსმა მწერალმა, სახელმწიფო პრემიის ლაურეატმა ვ. კატაევმა, რომელსაც გორკისთან დიდი მეგობრობა აკავშირებდა. მან როგორც ცოცხალს მიმართა მწერალს: „ბედნიერი ხართ, ძვირფასო ალექსი მაქსიმეს-ძევ, თქვა მან, რომ ცოცხლობთ მსოფლიოს ყველა ქალაქში, მილიონობით მკითხველის გულში. თქვენი ნათელი სახე ყოველთვის გაგვიშუქებს გზას".

თბილისის სტალინის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის მრავალათასიანი კოლექტივის სახელით მიტინგზე სიტყვა წარმოთქვა ხარატმა გ. გაჩეჩილაძემ.

— ჩვენ ვამაყობთ, თქვა მან, რომ ვმუშაობთ ქარხანაში, რომელიც შეიქმნა რკინიგზის მთავარი სახელოსნოების ბაზაზე, სადაც ა. მ. გორკი შრომობდა. მუშები, რომელთა ჭირვარამს იგი იზიარებდა, უყვარდათ გორკი მისი გულისხმიერებისა და გულკეთილობისათვის, უანგარო დახმარებისათვის და ვინ იფიქრებდა, რომ ადამიანი, რომელიც მათ გვერდით მუშაობდა, გახდებოდა მსოფლიოში პირველი მუშათა და გლეხთა თავისუფალი სახელმწიფოს ლიტერატურის მამამთავარი.

მიტინგზე გამოვიდნენ, პროფესორი გ. ციციშვილი, თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტი თ. ტალიაშვილი.

ძეგლს ნელა ჩამოშორდა თეთრი საბურავი. შეკრებილთა წინაშე აღიმართა რევოლუციის ქარიშხალას დიდებული ფიგურა. იგი აღმართულია, როგორც ჩვენი ქვეყნის ხალხთა მარადიული ერთიანობის, მეგობრობისა და ძმობის, როგორც ჩვენი მრავალეროვნული ლიტერატურის სიმბოლო. ძეგლის კვარცხლბეკი გაზაფხულის ყვავილებით აივსო.

ძეგლის ავტორია მოქანდაკე ა. თოფურიძე, არქიტექტორი — ო. ლითანიშვილი. (საქინფორმი).

* * *

სურათზე: მაქსიმ გორკის ძეგლი თბილისში, ცხრა იანვრის ქუჩაზე.

მ. კვირიკაშვილის ფოტო.

# მსოფლიო დღეს

## ამბები • ფაქტები

## დარტმუთის კონფერენციის შედეგების გამო

[illegible]

...მათი შემდგომი გაჯანსაღების გზების ძიებაში.

კონფერენციის თანათავმჯდომარემ ნორმან კაზინსმა, რომელიც ჟურნალების „სატადეი რევიუსა“ და „უორლდ მაგეზინის“ რედაქტორია, აგრეთვე აღნიშნა დარტმუთის შეხვედრების დიდი მნიშვნელობა ორი ქვეყნის ურთიერთგაგების განმტკი- [illegible]

თბილისის შეხვედრაზე განიხილეს ფართო წრის საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ვაჭრობის, მეცნიერებისა და კულტურის დარგში სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების შემდგომ განვითარებასთან. როგორც განაცხადა საბჭოთა დელეგაციის წევრმა, სსრ კავშირის სავაჭრო-სამრეწველო პალატის თა- [illegible]

[illegible] გამართული დისკუსიები მეტად ნაყოფიერი იყო, მიმდინარეობდა გულახდილობისა და ურთიერთგაგების სულისკვეთებით. მათ ცხადყვეს, რომ შემდგომშიც საჭიროა დარტმუთის შეხვედრების რეგულარულად მოწყობა. ამერიკის დელეგაციის წევრებმა მადლობა გადაუხადეს შეხვედრის საბჭოთა ორგანიზატორებს გულითადი და გულთბილი მასპინძლობისათვის.

## საბჭოთა დელეგაცია ავსტრიაში გაემგზავრა

ავსტრიის რესპუბლიკის პრეზიდენტის ფრანც იონასის დაკრძალვის ცერემონიაში მონაწილეობისათვის 27 აპრილს მოსკოვიდან ვენაში გაფრინდა საბჭოთა კავშირის სახელმწიფო დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში არიან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე გ. ს. ძოწენიძე (დელეგაციის მეთაური), სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ნ. მ. პეგოვი, სსრ კავშირის დროებითი საქმეთა რწმუნებული ავსტრიის რესპუბლიკაში ვ. მ. მამონტოვი. (საქდესი).

## მასობრივი მიტინგი პარიზში

პარიზი, 26 აპრილი. (საქდესის კორ.). „ჩვენი ვალდებულება მშრომელთა წინაშე, ქვეყნის წინაშე — ეს არის მემარცხენე ძალების ერთობლივი ხმათავრობო პროგრამა“, — განაცხადა საფრანგეთის კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა ჟ. მარშემ პარიზში გამართულ მასობრივ მიტინგზე.

მიტინგი გამართა საფრანგეთის კომპარტიის, სოციალისტური პარტიისა და მემარცხენე რადიკალთა მოძრაობის მოწოდებით პრეზიდენტის მომავალ არჩევნებზე მემარცხენე ძალების საერთო კანდიდატის ფ. მიტერანის მხარდასაჭერად.

## რასისტებმა ხმა მისცეს რასისტებს

დარ-ეს-სალამი. 27 აპრილი. (საქდესი). პრეტორიაში გამოცხადდა წინასწარი შედეგები პარლამენტის არჩევნებისა, რომელიც ოთხშაბათს მიმდინარეობდა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში. როგორც მოსალოდნელი იყო, მმართველმა ნაციონალისტურმა პარტიამ, რომელიც მხარს უჭერს აპარტეიდის შემდგომ გაძლიერებასა და ქვეყნის მილიტარიზაციას, კვლავ მოიპოვა გამარჯვება. დამახასიათებელია, რომ თუმცა თეთრკანიანმა ამომრჩევლებმა 53 პროცენტზე ოდნავ მეტი ხმა მისცეს მას, ამ პარტიას, რომელსაც რასისტული რეჟიმის მეთაური ფორსტერი მეთაურობს, პარლამენტში ექნება ადგილების 75 პროცენტზე მეტი. ეს შედეგია საარჩევნო კანონისა, რომელიც ნაციონალისტებმა ერთ დროს მიაღებინეს პარლამენტს.

სამხრეთ აფრიკის ახალი მოწვევის პარლამენტში ქვეყნის ბედს კვლავ განაგებენ მოსახლეობის ათი პროცენტის, ე. ი. თეთრკანიანების მიერ არჩეული რასისტები.

## ჰ. კისინჯერის პრეს-კონფერენცია

ვაშინგტონი. 26 აპრილი. (საქდესი). ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა ჰ. კისინჯერმა გამართა პრეს-კონფერენცია.

მან ხაზგასმით აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის რ. ნიქსონისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის მომავალ შეხვედრას უმაღლეს დონეზე მოსკოვში. ასეთი შეხვედრების მოწყობისათვის ბევრი მიზეზი არსებობს, განაცხადა სახელმწიფო მდივანმა. ისინი ქმნიან შესაძლებლობას დავდოთ ბევრი შეთანხმება სხვადასხვა დარგში თანამშრომლობის შესახებ. შეხვედრები უმაღლეს დონეზე ქმნიან შესაძლებლობას, რომ დავაჩქაროთ უკვე დადებულ შეთანხმებათა შესრულება. ეს შეხვედრები, აღნიშნა ჰ. კისინჯერმა, ორი სახელმწიფოს ხელმძღვანელებს აძლევენ შესაძლებლობას ერთმანეთს გაუზიარონ აზრი უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ საკითხებზე, განსაკუთრებით მშვიდობის შენარჩუნების ღონისძიებებზე. ვიმედოვნებთ, რომ ყველა ამ დარგში უმაღლეს დონეზე მომავალი შეხვედრის დროს მიღწეული იქნება პროგრესი, თქვა ჰ. კისინჯერმა.

რაც შეეხება მოლაპარაკებას სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის შესახებ, განაცხადა სახელმწიფო მდივანმა, ჯერჯერობით გაურკვეველია, მოხერხდება თუ არა უმაღლეს დონეზე შეხვედრის მომენტისათვის ამ დარგში არსებითი შეთანხმების მიღწევა. მაგრამ შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ ერთადერთი არსებითი შეთანხმება იქნებოდა ყოვლისმომცველი მუდმივი შეთანხმება, რომელიც გადაჭრიდა ყველა საკითხს.

## სამარცხვინო სამსჯავრო

სამარცხვინო სამსჯავრო მოუწყო ჩილეს ხუნტამ სახალხო ერთიანობის მომხრეთა ჯგუფს. 60-ზე მეტ სამხედრო მოსამსახურესა და სამოქალაქო პირს, რომლებმაც გასული წლის სექტემბერში უარი თქვეს კანონიერი ხელისუფლების წინააღმდეგ ამბოხებაში მონაწილეობაზე, წაუყენეს უსაფუძვლო ბრალდება — „სახელმწიფო ღალატი“. ექვს მათგანს სიკვდილით დასჯა მოელის. ეს განაცხადეს სახალხო ერთიანობის მთავრობის ყოფილმა შინაგან საქმეთა მინისტრმა ხაიმე სუარესმა და ჩილეს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრმა პაბლო ფერნანდესმა პრეს-კონფერენციაზე, რომელიც საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტებისათვის გაიმართა 26 აპრილს ჩილელ დემოკრატებთან სოლიდარობის საბჭოთა კომიტეტში.

უპასუხეს რა კორესპონდენტთა შეკითხვებს, მათ დაასახელეს დამაჯერებელი ფაქტები, რომლებიც მოწმობენ, რომ პატრიოტებს აწამებენ და სტანჯავენ, მოუწოდეს ყველა კეთილი ნების ადამიანს ხელი შეუშალონ ჩილეს მხედრიონის ახალ დანაშაულს, დარაზმონ მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი ჩილელ პატრიოტთა დასაცავად. (საქდესი).

### კარიკატურისტის კომენტარი



ხუნტის სასამართლო მოდის.

ი. კოკიაშვილის ნახატი.

## ერთიანი ფრონტით აგრესორის წინააღმდეგ

### სირიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება

დამასკო, 26 აპრილი. (საქდესი). სირიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ხალედ ბაგდაშის თავმჯდომარეობით აქ გაიმართა სირიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სხდომა, რომლის მონაწილეებმა განიხილეს მთელი რიგი ორგანიზაციული, პოლიტიკური და ეკონომიური საკითხები, აგრეთვე მდგომარეობა სირია-ისრაელის ცეცხლის შეწყვეტის ხაზზე.

სხდომაზე მიღებულ დადგენილებაში ნათქვამია, რომ ისრაელი და მისი დამხმარე იმპერიალისტური წრეები აძლიერებენ სამხედრო დაძაბულობას და ამით ცდილობენ სირიას თავს მოახვიონ ჯარების დაშორიშორების საკუთარი პირობები.

ამ ვითარებაში, ხაზგასმულია ამ დადგენილებაში, ქვეყნის ხალხის მასები და მთელი პროგრესული ძალები ერთიანი ფრონტით ილაშქრებენ იმპერიალისტური შეთქმულების წინააღმდეგ და მტკიცედ აქვთ გადა- წყვეტილი მიაღწიონ ისრაელის მიერ ოკუპირებული ყველა ტერიტორიის განთავისუფლებას და პალესტინის არაბი ხალხის კანონიერ უფლებათა უზრუნველყოფას.

სირიის ყველა მშრომელი და პროგრესული საზოგადოებრიობა, აღნიშნულია სირიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში, დიდად აფასებენ მხარდაჭერას, რომელსაც საბჭოთა კავშირი უწევს სირიის ბრძოლას. საბჭოთა კავშირთან მეგობრობის განმტკიცებისადმი სირიელი ხალხის მისწრაფებას მოწმობს პრეზიდენტ ჰ. ასადის მეთაურობით სირიის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის ამასწინანდელი ვიზიტი საბჭოთა კავშირში.

სირიის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მაღალი შეფასება მისცა სირიის არმიის ჯარისკაცთა და ოფიცერთა სიმტკიცესა და გმირობას ისრაელ აგრესორთა წინააღმდეგ ბრძოლებში. სირიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, ნათქვამია დადგენილების დასკვნით ნაწილში, მხარს უჭერს ქვეყნის ხელმძღვანელობის მტკიცე პოზიციას დაპყრობილი მიწების მთლიანად განთავისუფლების საკითხში და მიესალმება არაბეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობას, რომელიც ემყარება მტკიცე, პრინციპულ საფუძველს.

## ქართველი მწერლები ლენინის შესახებ

## ლენინის სიტყვა მარად და ყველგან

### გიორგი კაჭახიძე

[illegible]

საქმე კეთილი
ისე დიდია და ბევრის მთქმელი,
არ დაესმება არსად წერტილი.

## ქარსაცავი

### ოთარ შალამბერიძე

ქარსაცავებო ალვის ხეების,
მიყვარხართ ეგრე ჯიშიანები;
ნეტა, თქვენი ხმით ქარვის დღეები
ჩემს ლექსში როგორ იშრიალებენ?!

იდექით ეგრე, ქარსაცავებო,
საქმე კეთილი თქვენ გევალებათ,
ისე ნავარდობს უკან სიცოცხლე,
დე, ნუ მოაკლდეს ფრთებს ელვარება.

ხელს თუ ჩაჰკიდებთ ძმურად ერთმანეთს,
უკეთურ ძალებს რად არ აჯობებთ?
არ შემოუშვათ ქარი ავბედი
მომავლის მწვანე სადარაჯოზე!

იდექით ეგრე, რომ მინდვრებს შორის
მეხამრიდებად წარბი აჭიმოთ;
რაკი ამქვეყნად არსებობს ქარი,
ქარსაცავებიც არის საჭირო.

და განა მარტო გაშლილ ველებზე
და განა მარტო მზიან გორებთან,
თქვენ დგახართ ყველა მშრომელი კაცის
სინდისის წმინდა მისადგომებთან.

და რომ სინდისი გადავარჩინოთ,
არ შეგვეფეთოს არსად ზვავები,
სწორედ ამიტომ არის საჭირო
სულ სხვანაირი ქარსაცავებიც.

სწორედ ამიტომ არის საჭირო,
ძალუმად გულის დავძრათ ძრავები,
ყველა ჩვენგანშიც რომ აგუგუნდეს
ცეცხლგაუმტარი ქარსაცავები!

თქვენს შრიალს ლექსად ჩვენ ვიმეორებთ,
ო, რა მძლავრად ჟღერს ბუნების მარში;
ტყუილად არა ჰგავხართ მეომრებს,
რომ ჩასდგომიან ერთმანეთს მხარში.

თქვენ ხომ მუდამ დღე ფესვს გიახლებენ
ჰოპუნები და რაშოვ-დელები?
ალბათ მიტომ ხართ ასე მაღლები,
ასე სწორნი და აშოლტილები!

ქარსაცავებო, იდექით ეგრე
და მშობელ მიწას უხადეთ ღალა;
არ ჩამოსცვივდეს კვირტები ნერგებს,
არ დაილეწოს ჯერ ნორჩი ყანა.

და როცა მომკის ჟერი დადგება,
ჩაისუნთქავენ დოვლათს ბელლები,
მუხლზე დაირტყამს გლეხი მარჯვენას, —
გაისადაცო ნუ დამელლები!

მერე ახედავს ზეცას კრიალას
და თბილ ლაჟვარდებს ფიქრით გაცურავს:
საქართველოში კაცი კი არა,
ხეც უძლვებაო საქმეს კაცურად!

გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციას. მადანმზიდ „გიორგი ლეონიძის“ ეკიპაჟმა დიდი ლენინის დაბადების 104 წლისთავისათვის წარმატებით გაანაღდა სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი მეცხრე ხუთწლედის განმსაზღვრელი წლის პირველი ნახევრის ვალდებულებანი მშვიდობიანი ტვირთბრუნვის დარგში. კაპიტან პატარაძის მეთაურობით მადანმზიდის მეზღვაურებმა შეასრულეს მძიმე გადასვლა წყნარი ოკეანიდან ინდოეთის ოკეანეში.

ფრიდონ ხალვაში,

„გიორგი ლეონიძის“ კაპიტნის პირველი თანაშემწე.



# გამოცდა სამ ოკეანეში

### „გიორგი ლეონიძის“ პირველი ოცდაათი ათასი მილი

აპრილი, როცა გამოვლილია შავი და ხმელთაშუა ზღვები, ატლანტის, ინდოეთისა და წყნარი ოკეანეები კანარის კუნძულებზე და სინგაპურში შევლით, როცა ტვირთი უკვე დავცალეთ იაპონიის ოთხ ქალაქში და ჩვენს ვლადივოსტოკს მოვადექით, რათა აქედან მორიგი კურსი ავსტრალიისაკენ ავიღოთ, მე მაგონდება მღელვარე, დაუვიწყარი გამოცილება მშობლიური ბათუმიდან...

ახალი ხომალდის ეკიპაჟს, ხომალდისა, რომელიც ოცდაცხრა ათასი ტონა ტვირთით, შორეული რეისისათვის გამზადებული, რეიდზე იდგა...

როგორც მშობლიურ სახლში, ისე მასპინძლობდნენ სტუმრებს გიორგი ლეონიძის ქალიშვილები და შვილიშვილები. გემზე შინაურულად ტრიალებდა გოგლას მშობლიური კუთხის შვილი, სახელოვანი პოეტი იოსებ ნონეშვილი, რომელიც საგანგებოდ ეწვია მაშინ „გიორგი ლეონიძეს“, რათა მისთვის ქართველი მწერლების სურვილები, საჩუქრები და სიყვარული გადაეცა.

მართალია, გემის ნამდვილი გასვლა მსოფლიო ოკეანეში ახლა იწყებოდა, მაგრამ მას უკვე გამოვლილი ჰქონდა ათასობით საზღვაო მილი. იგი პოლონელმა მეგობრებმა ააგეს ქალაქ შჩეცინში.

მშრალი ტვირთის ეს ლამაზი თანამედროვე ხომალდი ერთ-ერთი პირველთაგანია საბჭოთა სავაჭრო ფლოტში, რომლის მართვა მთლიანად ავტომატიზებულია. ეს კი, რა თქმა უნდა, ეკიპაჟის ყოველი წევრისაგან განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს. გემის პრესტიჟს ისიც ამაღლებს, რომ მისი ექსპლოატაციის ტექნიკური შედეგებით დაინტერესებული არიან არა მარტო საბჭოთა საზღვაო ფლოტის სათანადო ორგანოები, არამედ მსოფლიოს მთელი რიგი სახელმწიფოების სანაოსნო საზოგადოებები.

დეკემბრის იმ ცივ საღამოს დაიწყო ჩვენი ხანგრძლივი და მძიმე რეისი. სალოცმანო კატერმა ნაპირისაკენ წაიყვანა უკანასკნელი გამცილებლები...

სამართავ პულტთან კაპიტანი ზურაბ პატარაძე ტრიალებდა და განკარგულებებს იძლეოდა. დაბლა, სადღაც სიღრმეში, მძლავრი ძრავები გამმით ძიგძიგებდნენ. ბრუნავდა სიჩქარის დიდფრთებიანი ხრახნი და კიჩოს ქვეშ ზღვას ადუღებდა.

გემმა დინჯად და მძიმედ მიაბრუნა ცხვირი დასავლეთისაკენ, დაადგა ზუსტ კურსს და სვლას უმატა.

ხომალდი უმალვე ავტომატურ მართვაზე გადაიყვანეს. მორიგე მატროსი მხოლოდ ფორმალურად იდგა საჭესთან, თორემ ხელის მოკიდებაც აღარაფერს სჭირდებოდა, ავტომატი ჭკვიანურად და ზუსტად ასრულებდა მიცემულ დავალებას — გემი განსაზღვრული კურსით და განსაზღვრული სიჩქარით მიდიოდა.

— იაპონიამდე ორმოცდაათამდე დღე დაგვჭირდება, — თქვა ზურაბმა, — ეს სუეცის გამო, თორემ...

— კარგი, იაპონია. მერე? — ცნობისმოყვარეობა ვერ დავმალე.

— შემდეგ ალბათ უფრო შორს... ვნახოთ.

— შინ? — შიშით შევხედე კაპიტანს.

სიბნელეში კარგად ვიგრძენი, რა ეშმაკურად ჩაიღიმა კაპიტანმა, მაგრამ რა ვქნა, შეშფოთების გამჟღავნებისა არა მრცხვენია. ჩემი მეზღვაურული ცხოვრების დრო განსაზღვრულია. ჩემი შემოქმედებითი შვებულება მაისში თავდება. თუმცა, გულახდილად რომ ვთქვა, მაისი ძალიან შორს არის. ნუთუ გავძლებ ამდენხანს გემზე, ზღვებში, ოკეანეებში, შტორმებში, ახლობელთაგან შორს?

ჩემი კაპიტანი ჩვენებურია, ბათუმელი. აქ დაამთავრა საზღვაოსნო სასწავლებელი. დაამთავრა წარმატებით. მეოცნებე, წესიერი და შრომისმოყვარე, მეცადინე ყმაწვილი იყო.

ნაპირი უკვე აღარ ჩანდა, ქარმაც იმატა.

დაბლა, კაპიტნის კაიუტაში ჩავედით.

— ვერა გვაქვს კარგი ნავმისადგომები, — შემომჩივლა კაპიტანმა, — ფოთში მხოლოდ ნახევარი ჩავტვირთეთ. გემი დაჯდა, დანარჩენი ტვირთის ბარჟებით ბათუმში ჩამოზიდვა და აქ დატვირთვა გაგონილა? ხარჯი ხარჯია, მაგრამ წვალება, დრო?

გემს ისე განიცდის კაპიტანი, როგორც საკუთარ სხეულს. ღელვის დროს ტრიუმთა სიცარიელე არ ვარგა. საერთოდ, როგორ მოიქცევა ახალი ხომალდი ამ დიდ რეისში? როგორ იმუშავებს ავტომატი, რა დეფექტი აღმოაჩნდება, როგორ გაართმევს თავს ეკიპაჟი დაკისრებულ რთულ ამოცანას, როგორ აითვისებენ ტექნიკურ სიახლეებს, რა შენიშვნები და წინადადებები დაგვიგროვდება რას იტყვის ვლადივოსტოკში სახელმწიფო რეგისტრი, როცა ოცდაათი ათასამდე გავლილი მილის შემდეგ ჩვენს გემს გასინჯავს? მოგვაკუთვნებს თუ არა „ა“ კლასის პირველი კატეგორიის ნიშანს?

გემს ერთი წლით თან ახლავს ორი პოლონელი სპეციალისტი, ე. წ. საგარანტიო მექანიკოსი და ინჟინერი. მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ მათი აქ ყოფნა. კარგად უნდა ავითვისოთ ავტომატური მართვა, კარგად მოვუაროთ ჩვენს ლამაზ გოლიათს. ვეცადოთ რეგისტრის მაღალი შეფასება დავიმსახუროთ, — ფიქრები არ ასვენებენ კაპიტანს. ეს გასაგებიც არის.

უკვე გვიანი ღამე იყო, ზურაბი ვერ მშვიდდებოდა. ისევ იქ, ზემოთ მიუწევდა გული, სადაც მართვის პულტია, სადაც უამრავ ანთებულ ციფერბლატებზე გემის სიცოცხლის ყოველი მომენტი ისახება.

„გიორგი ლეონიძე“ ბოსფორში შედიოდა. ბინდბუნდში სტამბოლის დაკლაკნილნაპირებიანი გარეუბნები ორივე მხრიდან სინათლეების ციმციმით გვიახლოვდებოდა.

მე კარგად ვიცნობდი გოგლას. ამ წუთებში იგი თითქოს ჩვენს გვერდით იდგა. გაღმა-გამოღმა ნაპირებს სინათლეები ყვავილთა კონებივით მაღლა აწეულ ხელებში ეჭირათ. და ისე გვეგებებოდნენ.

უყვარდა პოეტს მოზეიმე ხალხის დახვედრა. უყვარდა ადამიანებთან მისვლა, სიახლოვე. იცოდა უმაღლესი თამადობა.

ჩვენს ირგვლივ ამჯერად ყველაფერი თითქოს გაშეშებული, ცივი და უტყვი იყო. მაგრამ ჩემი ფანტაზიისათვის უდიდესი რამ ხდებოდა. ჩემთვის ეს რაღაცას ნიშნავდა, — „გიორგი ლეონიძე“ ბოსფორში შედიოდა.

შედიოდა ამაყი და გამარჯვებული იერით, თან მიჰქონდა არა მარტო ძვირფასი ტვირთი, — სამშობლოს მზისა და წიაღის მადლი, არამედ მის შუბლზე თითქოს ქართული სიტყვის ჩირაღდანიც ენთო.

სრუტეში შესვლა დაიწყო. ეს პროცესი ყველაზე მღელვარე, დაძაბული და საპასუხისმგებლოა ნაოსნობაში. ამ წუთებში მხოლოდ კაპიტანია მდგომარეობის ბატონ-პატრონი. იგი თვითონ დგება მართვის პულტთან, ან იქვე ილუმინატორში დურბინდით გასცქერის, ხანაც გვერდით ხიდურზე გადის, თვალით ზომავს გემსაც, გარემოსაც, ისევ შიგ ბრუნდება. ახალ განკარგულებას იძლევა... ერთ-ორჯერ მიკროფონში ინგლისურად ჩასძახა: „საბჭოთა გემი „გიორგი ლეონიძე“ ვარ“.

— ხმას არ იღებენ, ლოცმანები არ ჩანან... — ჩაილაპარაკა თავისთვის ზურაბმა და იქვე რადიოტელეფონიდან გადმოღვრილ, მრავალ ენაზე გადმომსხმარე სიტყვათა ნაკადს მოუსმინა.

— ავიყვანოთ ლოცმანი? — ჰკითხა გვერდით მდგომ თავის დუბლიორს, კაპიტან რომან ჯიბლაძეს, რომელიც გემს გასაცნობად და ასათვისებლად დროებით გამოჰყვა რეისში, მაგრამ პასუხს აღარ დალოდებია ზურაბი და თვითონვე დაუმატა:

— სულ ზეპირად ვიცი აქაურობა, მაგრამ ჯანაბას, იყოს ლოცმანი, ამჯერად ასე აჯობებს. ალო, სტამბოლო, ლოცმანი!... — გაიმეორა მან მიკროფონში ინგლისურად.

— გხედავ, მოვდივარ... — გაისმა პასუხი და დავინახეთ ნელი სვლით მიმავალ ჩვენს გემს მარჯვენა მხრიდან როგორ უახლოვდებოდა სალოცმანო კატერი, რომლის ერდოზე ლაბადამოსხმული კაცი იდგა და ხელში ტრანზისტორული რადიოტელეფონი ეჭირა.

ერთ-ერთმა შტურმანმა ტრაპი ჩაუშვა და ლოცმანი გემბანზე ამოიყვანა. იგი პირდაპირ მაღლა ხიდურზე ამოვიდა. მას მართვის პულტის მახლობლად დაუთმეს ადგილი. შტურმანებს მიმართულებას რუსულად უკარნახებდა. ძალიან ნელა მივიწევდით წინ.

ღამის სტამბოლმა თანდათან ფართოდ გაშალა თავისი სინათლეებით მოწინწკლული კალთები.

წინ, ჰორიზონტზე თეთრად გამოიკვეთა ბოსფორზე ახალგახსნილი, მსოფლიოს უგრძესი ხიდი, რომელმაც ამ უძველესი ქალაქის ევროპული და აზიური ნაწილები პირველად შეუერთა ერთმანეთს.

— ჯეორჯი ლეონიძე?.. ჯეორჯი ლეონიძე, ა?... — თქვა უცებ ლოცმანმა.

— პოეტია, ქართველი საბჭოთა პოეტი. — აუხსნა კაპიტანმა.

ნაშუაღამევს „გიორგი ლეონიძე“ დარდანელში მარტოდმარტო გადიოდა...

გიბრალტარი ისე ფართოა, რომ აქ უკვე ლოცმანები აღარავის სჭირდება. მაგრამ ინგლისის საზღვაო სამსახურის აგენტები, რომლებიც ძველ ფორტსა და მცირე მხედრიონთან ერთად ჯერ კიდევ ებღაუჭებიან ვიწრო კლდოვან უბანს ესპანურ ნაპირზე, აქ გამავალი გემებისაგან მაინც მოითხოვენ ერთგვარი თავაზიანობის ინფორმაციას.

სრუტეს აქაც ღამით მივადექით. გემსა და ნაპირს შორის საუბარი შუქ-სიგნალებით გაიმართა. საჭირო პასუხი როგორც კი მიიღო, ინგლისელმა გაღმა ნაპირზე სასიგნალო შუქი გამორთო.

ოკეანე გაჯავრებული დაგვხვდა. მძლავრ ციკლონს გადაევლო და ღელვა ჯერ კიდევ ვერ დამცხრალიყო. ძლიერი მორევი რომ მოწინააღმდეგის ზუსტ გარტყმებს უთავაზებს და ტორტმანს დააწყებინებს, ისე შეგვიბარბაცა ოკეანემ ეს ათეულ ათასობით ტონიანი ლითონის გიგანტი. მაგრამ გემში ცხოვრება თავისი ჩვეული მშვიდი რიტმით მიდიოდა.

დილაადრიანად გამოცდილი ძველი ბოცმანის ბერიძის უნარიანი წინამძღოლობით მატროსები სხვადასხვა სამუშაოს ასრულებდნენ. ზოგი გემბანზე იყო, ზოგი რანგოუტებთან დაფაცურობდა, ზოგი სამანქანო განყოფილებაში ჩადიოდა ვახტზე, ზოგიც ბაგირ-თოკების მორგვებს ამაგრებდა, ზოგი კი ჟანგშეპარებულ კუთხეებს ხეხავდა, რათა ლითონის სხეულის ახალგახსნილ იარაღზე საღებავის მალამო დაედო.

კაპიტანი გამუდმებით ხიდურზე იყო და მძიმედ ჩაფიქრებული ახალგაზრდა გემის ყოფაქცევას აკვირდებოდა საოკეანო ღელვაში.

ეს უხეირო ფურთუნი რამდენიმე დღეს აღარ მიწყნარდა. ძალიან გრძელი, ზორბა ტალღები ნელა, მაგრამ ჟიუტი თავგამოდებით ცალი გვერდიდან ასკდებოდნენ კორპუსს და გემისათვის ნორმალური ცურვა შეეფერხდა. ამიტომ კაპიტანმა ოდნავ გადაუხვია ძირითად კურსს და ახლა უკვე ზვირთებს პირდაპირ ხერხემალზე ვჭრიდით, რამაც ხომალდის კილის წინდაუკან საშიში გადახრები რამდენადმე შეამცირა.

კანარის კუნძულებს ამგვარად კონტინენტის მხრიდან შევეპარეთ. აფრიკასა და კუნძულებს შორის დიდებული სიმშვიდე სუფევდა. მეორე დღეს ლამაზ ესპანურ ქალაქ ლას-პალმას მივადექით.

სანტა-კრუსი და ლას-პალმასი ორი მნიშვნელოვანი ქალაქი და ნავსადგურია ამ კუნძულებზე. პორტებში ხშირად სურსათისა და საწვავის მისაღებად შემოდიან საბჭოთა გემებიც.

რეიდზე ახლაც რამდენიმე ჩვენებური ხომალდი ვიცანით.

ჩვენში უკვე ზამთრის ჭირვეული ამინდები იდგა, კანარის კუნძულებთან კი თითქოს ჩვენგან ცოტა ხნის წინათ გაპარულ ზაფხულს დავეწიეთ.

მოვიმარაგეთ პროდუქტები, წყალი, მოვიარეთ ქალაქი და ისევ ჩვენს გრძელ გზას გავუდექით.

გემზე უკვე იგრძნობოდა ტროპიკების სიახლოვე. მატროსებმა მოიხადეს შორტები. მუშაობა ცხელი მზის ქვეშ გაჩაღდა.

დღიურ დავალებებს განსაკუთრებით წარმატებით ასრულებენ მატროსები თენგიზ გიგინეიშვილი, ანატოლი კოსოვი, ანზორ ვარშანიძე პეტრე პეტროსიანი.

შინიდან შორს ყოფნის სიძნელეს გვინელებს მზარეულ მამია ბერიძის ხელოვნება. მართლაც, ამ მახინჯაურელმა ბიჭმა შორეულ ოკეანეებში ტკბილი ქართული ოჯახური ლუკმა არ მოგვაკლო. ხაშს, გემზე გამომცხვარ ლავაშსა და აჭარულ ხაჭაპურს ხანდახან ლობიო და ჭადიც კარგად მოუხდა.

თუ გულახდილად ვიტყვით, გემზე მუშაობა და ცხოვრება თანდათან რთულდებოდა. კაპიტანი დაძაბული მღელვარებით შემოივლიდა ხოლმე სამანქანო, საავტომატო, სატვირთო მეურნეობას, პირველი შედეგები ცუდი არ იყო, მაგრამ რეისი გრძელი და მძიმე გველოდა. ამიტომ ყოველი მცირე დეფექტის დროული შემჩნევა და აღმოფხვრა სვლის დროს აუცილებელია.

აგრეგატებისა და ძრავების მუშაობაში რამდენიმე არასასურველი სიტუაცია შეიქმნა, მაგრამ იგი ტექნიკოსებმა და მემანქანეებმა დროზე გამოასწორეს. მოხდა მოულოდნელი შემთხვევაც. ერთ საღამოს მძიმედ ავად შეიქნა პოლონელი საგარანტიო ინჟინერი ხორომანსკი. მდგომარეობა ისე გართულდა, რომ ღამით გემმა კურსი იცვალა და პორტ დაკარისაკენ გაუხვია.

სასწრაფო დახმარება საკმარისი არ აღმოჩნდა და იძულებული შევიქენით ავადმყოფი დაკარის ჰოსპიტალში დაგვეტოვებინა. იგი რამდენიმე დღეში განიკურნა და შეეძლო კაპიტაუნში დაგვწეოდა. მაგრამ, როგორც შეგვატყობინეს, სამხრეთაფრიკელ რასისტებს სოციალისტური სახელმწიფოს მოქალაქისათვის ქვეყანაში შესვლის უფლება არ მიუციათ და ხორომანსკი სამშობლოში გაფრენილიყო.

ოცდათხუთმეტდღიანი ცურვის შემდეგ დაღლილ-დაქანცულებმა, მიწის ნახვას დანატრებულებმა ღუზა სინგაპურთან ჩავუშვით. ეს ქალაქი-სახელმწიფო, რომელსაც, არც ისე უსაფუძვლოდ, აღმოსავლეთის ბაბილონს უწოდებენ, ხელგაშლილი შეგვხვდა. აქ რეიდზე ყოველდღე ასობით გემი დგას მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნის ალმით. ჩვენს საზღვაო-კომერციულ წარმომადგენლობასა და საელჩოში, სადაც კაპიტანი და მე წარვდექით, გვითხრეს — ეს პირველი გემია სინგაპურში საქართველოს სანაოსნოდანო.

ისე, როგორც ბევრ სხვა ყოფილ კოლონიურ ქვეყნებში, აქაც რთულია ენის პრობლემა. სინგაპურში ყველაზე მეტი მალაელი და ჩინელი ცხოვრობს. ოფიციალურ ენად კი აღიარებულია ინგლისური. გაზეთები ინგლისურად და ჩინურად გამოდის.

საზღვაო სამსახურის აგენტებმა როგორც იქნა მოახერხეს ჩვენი მომარაგება სამანქანო ზეთით, სასმელი წყლით, პროდუქტებით, და „გიორგი ლეონიძე“ აქედან პირდაპირ იაპონიისაკენ გაემართა.

ეს იყო ჩვენი რეისის ყველაზე ძნელი და პასუხსაგები მონაკვეთი, ხოსოსიმა, ტოიამა, საკატო და ხატინოხე ნაკლებად ცნობილი ქალაქებია, მაგრამ ეტყობა იაპონიის სამრეწველო ცენტრებთან ახლო მყოფი მნიშვნელოვანი პორტებია. მთელი ტვირთის ოთხ ადგილას გადმოცლამ, მაშინ როცა დანიშნულების ადგილები ან უკიდურეს სამხრეთში, ან უკიდურეს ჩრდილოეთში და აღმოსავლეთშია, რა თქმა უნდა, ბევრი სიძნელე შექმნა.

„გიორგი ლეონიძემ“ და მისმა ეკიპაჟმა პირველი დიდი გამოცდა კარგად ჩააბარეს. გემმა უკან მოიტოვა ოცდაათი ათასამდე საზღვაო მილი და ექსპლოატაციაში შესვლიდან დღემდე სამოცდახუთი ათასი ტონა ტვირთი გადაიტანა.

ფრიდონ ხალვაში.

### საქდესის ცნობა

## „მოლნია-2“

დედამიწის ხელოვნური თანამგზავრების გამოყენებით კავშირგაბმულობის სისტემების შემდგომი განვითარების პროგრამის შესაბამისად 1974 წლის 26 აპრილს საბჭოთა კავშირში მაღალ ელიფსურ ორბიტაზე გაუშვეს კავშირგაბმულობის თანამგზავრი „მოლნია-2“ საბორტო სარეტრანსლაციო აპარატურით, რომელიც უზრუნველყოფს სისტემის მუშაობას ტალღების სანტიმეტრიან დიაპაზონში.

კავშირგაბმულობის თანამგზავრი „მოლნია-2“ უზრუნველყოფს საბჭოთა კავშირში შორეული სატელეფონო-სატელეგრაფო რადიოკავშირის სისტემის ექსპლოატაციას, სსრ კავშირის ცენტრალური ტელევიზიის გადაცემას „ორბიტის“ ქსელის პუნქტებში და საერთაშორისო თანამშრომლობას.

თანამგზავრი გაყვანილია ორბიტაზე, რომლის აპოგეაა 40.850 კილომეტრი ჩრდილოეთნახევარსფეროში და პერიგეა — 463 კილომეტრი სამხრეთ ნახევარსფეროში. თანამგზავრის მიმოქცევის პერიოდია 12 საათი და 17 წუთი, ორბიტის დახრილობა — 62,9 გრადუსი.

თანამგზავრზე ტელევიზიის პროგრამების გადაცემისა და შორეული მრავალარხიანი რადიოკავშირის აპარატურის გარდა, დგას საკომანდო-საზომი კომპლექსის აპარატურა, აგრეთვე ორიენტაციის, ორბიტის კორექციის სისტემები და თანამგზავრის ენერგოკვების სისტემები.

კავშირგაბმულობის სეანსები „მოლნია-2“ თანამგზავრის მეოხებით მიმდინარეობს დასახული პროგრამის შესაბამისად.

# საქართველოს მთა-ბარში

## შრომითი დიდების საღამო

[illegible]

ხალხისადმი — ჩვენი საბრძოლო პროგრამაა“, „ალავერდელი მევენახეები ხუთწლედის მეოთხე, განმსაზღვრელ წელს“ — ამ თემაზე ილაპარაკა მოხსენებაში კოლმეურნეობის აგრონომმა პ. ქათამაძემ, ხოლო მოხსენება — „ალავერდელი ახალგაზრდობა ხუთწლედის დამკვრელურ ვახტზე“ — წაიკითხა ნ. ჩხეიძემ.

კომუნისტური შრომის მნიშვნელობასა და თავიანთ შრომით გზაზე ილაპარაკეს ალავერდელმა სოციალისტური შრომის გმირებმა ა. კვანტრიშვილმა და ი. გაჩეჩილაძემ. საღამოზე ბევრი კარგი სიტყვა ითქვა მშრომელი ადამიანის, პატიოსანი შრომის ხადიდებლად.

## „ვოლგა“ ლატარიის ბილეთით

ტრესტ „ჭიათურმარგანეცის“ ლენინის სახელობის მაღაროთა სამმართველოს თანამშრომელმა ვლ. ცარციძემ სსრ კავშირის დოსააფის მერვე ლატარიის მეორე გამოშვების ბილეთით (№ 87, სერია 176886) მოიგო ავტომანქანა „ვოლგა“ გაზ-24“.

**ივ. ჯაჯანიძე,**
ჭიათურის ცენტრალური შემნახველი სალაროს გამგე.

[illegible]

ლო კომპლექსის მშენებლობას, რომელსაც აგებს სასოფლო მშენებლობის სამინისტროს № 2 ტრესტი.

**ნ. ჟორჟოლიანი.**

# „ოქროს ფარშევანდი“ — აფხაზეთში

[illegible]

ფარშევანდი“, რომელიც უნგრეთის ტელევიზიის მიერ იყო დაწესებული. ანსამბლს გულთბილი შეხვედრა მოუწყვეს.

— ჩვენი დღეგრძელები ღირსეულად გამოვიდნენ მოძმე უნგრეთში, როგორც საბჭოთა ქვეყნის მრავალეროვნული ხელოვნების წარმომად-

[illegible]

საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. კობახიამ.

საერთაშორისო კონკურსის გამარჯვებულებს გულთბილად მიესალმა აფხაზეთის უხუცესი მწერალი ი. პაპასქირი. (საქინფორმი).



**სურათზე:** დღეგრძელთა სიმღერისა და ცეკვის დამსახურებული ანსამბლი „ნართაა“, რომელმაც ამას წინათ მიიღო პრიზი „ოქროს ფარშევანდი“. წინა პლანზე — სოციალისტური შრომის გმირი, მეთამბაქოე კასტეი ტანია ასრულებს აფხაზურ ხალხურ ცეკვას.

# სპორტი

## პრეტენდენტთა მატჩებზე

### როგორ „გამოცოცხლდნენ“ ფიგურები

[illegible]

კარპოვმა სადებიუტო სიურპრიზს სიურპრიზითვე უპასუხა. მან მიმართა სისტემას, რომელიც უაღრესად იშვიათად გვხვდება პრაქტიკაში და სადებიუტო მონოგრაფიებიც ნაკლებ ყურადღებას უთმობენ. ამ სისტემაში თეთრების განლაგება შავებისას წააგავს, ოღონდ ერთი არსებითი განსხვავებით — თეთრები მცირე პოზიციურ უპირატესობას იღებენ.

მიმომხილველთა აზრით, პარტია შეიძლება ორ ნაწილად გაიყოს. პირველ ნაწილში კარპოვი დიდებულად თამაშობდა. მან კარგად განალაგა თავისი ძალები და შეავიწროვა შავები. გაცვლების შემდეგ მეტოქეებს სხვადასხვა ფერის კუ დარჩათ. მაგრამ თუ ეს გარემოება ენდშპილში ყაიმის მომასწავებელია, შუა თამაშში იმას აძლევს უპირატესობას, ვინც ინიციატივას ფლობს. კარპოვის კუ მთელ დაფას უწევდა კონტროლს, სპასკის ასეთივე ფიგურა კი საკუთარი პაიკებით იყო ჩაკეტილი. მეოცე სვლისათვის სპასკი უმძიმეს სიტუაციაში აღმოჩნდა. მას თითქოს გარდუვალი დამარცხების საფრთხე ემუქრებოდა.

პარტიის მეორე ნაწილი კარპოვმა უარესად ჩაატარა. იგი დარწმუნებული იყო, რომ ქულა „ჯიბეში ჰქონდა“ და რამდენჯერმე უყურადღებოდ ითამაშა. მართალია, მისი სამი გადაბმული გამსვლელი პაიკი წინ დაიძრა, მაგრამ სპასკიმ დიდი ტაქტიკური გამჭრიახობით „თითქმის არაფრიდან“ შექმნა საპასუხო მუქარა. მან განაპირა ღია ხაზზე ეტლები განალაგა, ერთი მათგანი მე-

[illegible]

მათი დიდი ნაწილი თვლემდა, ახლა კარპოვს მათ ნეიტრალიზაციაზე ფიქრი მოუხდა.

აი ეს პარტია:

**კარპოვი — სპასკი**
**ჰოლანდიური დაცვა**

1. d4 d5 2. c4 e6 3. მc3 c6 4. e3 f5 5. f4 მf6 6. მf3 კe7 7. კe2 0-0 8. 0-0 მe4 9. ლc2 მd7 10. b3 მ:c3 11. ლ:c3 მf6 12. მe5 კd7 13. a4 მe4 14. ლd3 კf6 15. კa3 ეe8 16. კh5 g6 17. კf3 კ:e5 18. de h5 19. კ:e4 fe 20. ლd2 მფf7 21. a5 ეh8 22. კd6 ეh7 23. ლb4 კc8 24. ეa2 მფg8 25. h3 a6 26. g3 კd7 27. ლ:b7 კe8 28. ლb4 ეaa7 29. ეg2 ეab7 30. ლc3 ეbf7 31. კc5 g5 32. კb6 ლd7 33. cd ed 34. g4 hg 35. hg gf 36. ef ეh4 37. f5 ეfh7 38. e6 ლd6 39. ლg3 ეh1+ 40. მფf2 ლb4.

გუშინ თამაშის განუახლებლად მეტოქენი ყაიმზე შეთანხმდნენ. კარპოვმა ჩაწერა: 41. ლe8. საშინაო ანალიზის შემდეგ კი ახალგაზრდა გროსმაისტერი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ თეთრებს მოგების შანსი არა აქვთ და მეტოქეს ყაიმი შესთავაზა. ბ. სპასკიმაც მიიღო ეს წინადადება.

ამრიგად მატჩის ანგარიშია კვლავ 2:1 (4 ყაიმი) კარპოვის სასარგებლოდ. მერვე პარტია რიგით უნდა გაიმართოს 29 აპრილს.

**გ. გამრეკელი.**

## ფეხბურთი

### გუშინ...

[illegible]

## პირველ ლიგაში

26 აპრილს გაიმართა „ა“ კლასის პირველი ლიგის გუნდების საკავშირო პირველობის მორიგი, მეოთხე ტური.

ქუთაისის „ტორპედო“ თამაშობდა ივანოვოში ადგილობრივ „ტექსტილშჩიკთან“. მეტოქეებმა თითო ბურთი გაიტანეს. ფრე — 1:1.

დანარჩენ შეხვედრათა შედეგები ასეთია: ორჯონიკიძის „სპარტაკი“—კრასნოდარის „ყუბანი“— 4:2, როსტოვის სკა — ნალჩიკის „სპარტაკი“ — 0:0 (პენალტები— 4:4), იაროსლავლის „შინიკი“— ბაქოს „ნეფტჩი“ — 0:1, მინსკის „დინამო“ — აშხაბადის „სტროიტელი“ — 1:0, მოსკოვის „ლოკომოტივი“ — დუშანბეს „პამირი“ — 3:1, კუიბიშევის „კრილია სოვეტოვი“ — ზაპოროჟიეს „მეტალურგი“ — 2:0, პერმის „ზვეზდა“ — ლიპეცკის „მეტალურგი“ — 2:0, კემეროვოს „კუზბასი“ — ივანო-ფრანკოვსკის „სპარტაკი“ — 2:1, სვერდლოვსკის „ურალმაში“ — სიმფეროპოლის „ტავრია“ — 1:1.

## იცნობდეთ ა. კოჩიევს

ლენინგრადელი ალექსანდრე კოჩიევი დაიცავს ჩვენი ქვეყნის სპორტულ ღირსებას მსოფლიოს ჩემპიონატზე ჭაბუკთა შორის. ეს ცნობილი გახდა ლვოვის შესარჩევი ტურნირის დამთავრების შემდეგ, რომელშიც ოცამდე ახალგაზრდა (20 წლამდე) მოჭადრაკე გამოდიოდა.

ლენინგრადის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტის 18 წლის სტუდენტმა, სსრ კავშირის 1972 წლის ჩემპიონმა ჭაბუკთა შორის ა. კოჩიევმა 10 ქულა მოაგროვა 14 შესაძლებლიდან და პირველ ადგილზე გამოვიდა.

ა. კოჩიევმა ჭადრაკში პირველი ნაბიჯები გადადგა სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის ვლადიმერ ზაკის ხელმძღვანელობით, რომელიც თავის დროზე ავარჯიშებდა გროსმაისტერებს, მსოფლიოს ექსჩემპიონ ბორის სპასკისა და ვიქტორ კორჩნოის.

## ჭადრაკი

[illegible]

მეა გენიალური ამერიკელი პრობლემისტი ს. ლოიდი ჭადრაკს არც თუ ისე ცუდად თამაშობდა, ეს ანგარიში ნათამაშევი პარტიებიდან არ გამომდინარეობს. ორთაბრძოლა შედგა, მაგრამ სულ სხვა წესებით“.

1885 წელს ნიუ-იორკის საჭადრაკო კლუბში ერთ-ერთი შეხვედრის დროს ლოიდმა გამოჩენილ მოჭადრაკეს ორიგინალური სანაძლეო შესთავაზა: იგებს ის, ვინც უფრო ნაკლებ დროს დახარჯავს — ლოიდი ამოცანის შედგენაში, ხოლო სტეინიცი — შედგენილი ნაწარმოების ამოხსნაში. ჩემპიონმა გამოწვევა მიიღო და სანაძლეო მოიგო კიდეც. მან კომპოზიტორის მიერ 10 წუთში (!) შექმნილი სამსვლიანი ამოცანა 5 წუთში ამოხსნა.

რამდენიმე კვირის შემდეგ რევანშის წყურვილით შეპყრობილმა ლოიდმა ისევ გამოიწვია სტეინიცი „დუელში“. ამჯერად სანაძლეოს პირობა სხვანაირი იყო. ამოცანა, რომელიც პრობლემისტმა ამოსახსნელად წარმოადგინა, სტეინიცს ნებისმიერ დროში შეეძლო ამოეხსნა, ოღონდ სავალდებულო იყო ყველა ვარიანტის ჩვენება. ნახევარსაათიანი ფიქრის შემდეგ მეტოქემ მხოლოდ მთავარ მუქარას მიაგნო, მაგრამ ამოცანა სრულად ვერ ამოხსნა. ასე რომ მოჭადრაკისა და პრობლემისტის სპორტული შეხვედრა ფრედ დამთავრდა, ხოლო გაიმარჯვა საჭადრაკო კომპოზიციამ, რომელიც კიდევ ერთი მახვილგონივრული ნაწარმოებით გამდიდრდა.

იმედია, ჩვენი კლუბის წევრები შეძლებენ ლოიდის საიდუმლო ჩანაფიქრის გამოცნობას.

**ს. ლოიდი, 1885**



**შამათი ოთხ სვლაში**

ველით თქვენს ამოხსნებს, მეგობრებო!

**ვ. ნეიძე.**

## საქართველოს პირველობაზე

საქართველოს საჭადრაკო ჩემპიონატში ვაჟთა შორის 18 მონაწილეა, მათ შორის გროსმაისტერი გუფელდი, საერთაშორისო ოსტატი ჯინჯიხაშვილი, ოსტატები უბილავა, ბუსლაევი, ბოკუჩავა, ლომაია, ტუზოვსკი (სოხუმი), ბერაძე (წყალტუბო) და 10 ოსტატობის კანდიდატი.

პირველ ტურში ჯინჯიხაშვილმა დაამარცხა აზმაიფარაშვილი, ჭიპაშვილმა — ბოკუჩავა, მიქაძემ — ბუსლაევი, მიქაელიანმა — ბურჭულაძე. კალატოზიშვილ-ზაიჩიკის, ტუზოვსკი-ლომაიასა და გუფელდ-ბერაძის პარტიები ყაიმით დამთავრდა. დანარჩენი შეხვედრები გადაიდო.

მეორე ტურში უბილავამ მოუგო ჯინჯიხაშვილს, გუფელდმა — ლომაიას, კალატოზიშვილმა — ბურჭულაძეს, მიქაელიანმა — ჩიგოგიძეს, ბერაძემ — ჭიპაშვილს. აზმაიფარაშვილი და ტუზოვსკი ყაიმზე შეთანხმდნენ. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

საქართველოს ჩემპიონატში ქალთა შორის მონაწილეობენ საერთაშორისო ოსტატი ჩაიკოვსკაია, ოსტატები ხუგაშვილი, კობაიძე, რესპუბლიკის შარშანდელი ჩემპიონი — ოსტატობის კანდიდატი კახაბრიშვილი, ოსტატობის კანდიდატები და პირველთანრიგოსნები. ორი ტურის შემდეგ ორი ქულით დაწინაურდა 12 წლის ნანა იოსელიანი.

## ძალოსნობა

# სიტყვას კვლავ ამბობს... სასწორი

აი უკვე მერამდენედ ერევა ათლეტთა დავაში... სასწორი. ჩვეულებრივი სასწორი — წონის ეს უტყუარი საზომი, რომელმაც გუშინ კვლავ შეიტანა „კორექტივი“ გამარჯვებულთა კვარცხლბეკზე ქვემძიმე წონის ათლეტთა განლაგებაში...

მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა, რომ თბილისის ფიცარნაგზე არ გამოვა ქალაქ შახტის ძალოსნური სკოლის მეორე მშვენება (პირველი ხომ უდავოდ ვასილი ალექსეევია) დავით რიგერტი, შანსები ოქროს მედლის მოსაპოვებლად ერთდროულად რამდენიმე ათლეტს გაუჩნდა.

პირველი მოძრაობა — ატაცი 165 კილოგრამით მოიგო ს. პოლტორაცკიმ (ხმელნიცკი). მომდევნო ადგილებზე გამოვიდნენ გ. შარი (მინსკი) — 160 კგ და ვ. კოლოტოვი (პერვოურალსკი) — 157,5 კგ. ძალზე დაძაბულად მიმდინარეობდა შეჯიბრება აკვრაში. ბ. სელიცკი დაზიანდა და გამოეთიშა ბრძოლას. ვ. კოლოტოვმა 202,5 კგ დაძლია, რაც მეორე შედეგი გამოდგა. 2,5 კილოგრამით ნაკლები აიღო მესამე ადგილზე გამოსულმა ს. პოლტორაცკიმ. ე. პენკოვსკიმ დამაჯერებლად აკრა 207,5 კგ, რამაც მას ამ მოძრაობაში პირველობა მოუტანა.

გამარჯვებულმა ახლა 212,5 კგ შეუკვეთა, რომლის დაძლევა მას საშუალებას მისცემდა დაწეოდა ლიდერს და ნაკლები პირადი წონით ჩემპიონი გამხდარიყო. მაგრამ „შნელის“ ფირმის ოლიმპიური შტანგა (რომლითაც ტარდება ეს შეჯიბრება) არ დაემორჩილა ათლეტს.

ამრიგად, ქვემძიმე წონაში ჩემპიონის ოქროს მედალი მოიპოვა ს. პოლტორაცკიმ, რომელმაც ორჭიდის ჯამში მოაგროვა 365 კილოგრამი. ე. პენკოვსკიმ და ვ. კოლოტოვმა ერთნაირი შედეგი აჩვენეს — 360 კგ, მაგრამ პირველის საკუთარი წონა მეტოქისაზე ოდნავ მცირე იყო და ვერცხლის მედალი მას გადაეცა.

ჩემპიონობისათვის ბრძოლა პირველ მძიმე წონაში, რომელიც გუშინ საღამოს მიმდინარეობდა, წარიმართა მსოფლიოს რეკორდსმენს, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატ ვალერი უსტიუჟინსა (როვნო) და ჩერნიგოველ სპორტის ოსტატ ვიქტორ ხალინს შორის. ოქროს მედალი მოიპოვა ვ. უსტიუჟინმა — 382,5 კგ. ვერცხლის — ვ. ხალინმა — 380 კგ, ხოლო ბრინჯაოს — როსტოველმა სპორტის ოსტატმა ალექსანდრე ტროფიმენკომ — 375 კილოგრამი.

**ო. ნოზაძე.**

# დასვენების დღეები სკოლებში

როგორც ვიუწყებოდით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებით 1974 წელს დასვენების დღეები 5 მაისის კვირადღიდან გადატანილია 3 მაისს პარასკევს და 12 მაისის კვირადღიდან—10 მაისს პარასკევს. ამასთან დაკავშირებით ყველა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა და პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი 1, 2 და 3 მაისს აგრეთვე 9 და 10 მაისს არ იმუშავებს.

მეცადინეობა შეწყდება 30 აპრილს, სამშაბათს გაკვეთილების შემდეგ და განახლდება 4 მაისს, შაბათს. აგრეთვე მეცადინეობა შეწყდება 8 მაისს, ოთხშაბათს გაკვეთილების შემდეგ და განახლდება 11 მაისს, შაბათს. 5 და 12 მაისს სკოლები და პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები იმუშავებენ პარასკევის ცხრილით.

# მწვანილი—მამასისხლად, სინდისი—ორ გროშად...

## ანუ როგორ ხვდება თბილისის ბაზრებში ე. წ. „ქუთაისური მწვანილი“

„კაცია“. კიდევ მიიღებ კვირას დილით და შემდეგ კიდევ გამოგიგზავნით. ახლა ეს მეშოკე რომ მიიღო, გამოატანე ვინმეს უკან და დაბარე თუ იყიდება. კიდევ კვირას დილით მიიღებ. კაცია!... მეტი რა მოგწერო იყავი კარგად. ველი პასუხს, მიიღებ კვირა დილით“.

„ფრიდონი, მწვანილს მეტს არ გიგზავნით. ჩამოდი. მაგული“.

„საყვარელო ნოდარი. ნოდა ერთს ვაგზავნი ხვალ და მეტი არ არის... შაბათს ბებიას ორმოცია და თუ გაყიდო მანამდე წამოდი, თუ არა გაყიდე ნელ-ნელა და მერე წამოდი. შენი ფედოსია, გულნარა“.

„ოთარი, რეღისკა 200. ხვალაც გიგზავნით“.

„გივი, მეტს არ გიგზავნი. რედისკა არის ოთხასამოცი, რომ გაყიდო, ჩამოდი“.

აი, ასეთი წერილები, ზოგი ბარისფეხურად და ზოგიც საკმაოდ გამართული ხელწერით, იპოვნეს შინაგან საქმეთა ქუთაისის განყოფილების მუშაკებმა მწვანილით სავსე ტომრებში, რომლებიც 18 აპრილს ღამით გადაჰქონდათ თბილისის მეორე საბარგო ავტოსატრანსპორტო საწარმოს მძღოლებს გივი ივანეს-ძე ბაინდურაშვილს (ავტობუსი გრმ № 20-44) და ირაკლი ივანეს-ძე ჩიტიშვილს (ავტობუსი გრმ № 04-87). აქედან პირველ ავტობუსში მოთავსებული იყო 6.620 კილოგრამი მწვანილი, მეორეში— 1.152 კილოგრამი.

— ვისია მწვანილი? — ეკითხებიან მძღოლებს.

— არ ვიცით, ბაკისუბნიდან გაგვატანეს და ჩვენც მიგვაქვს, იქ, თბილისში დაგვხვდებიან.

— კი, მაგრამ არ იცნობთ?

— გვარები არ ვიცით, ისე, სახეზე ვიცნობთ. პირველი შემთხვევა როდია.

ერთი წუთით მოვეშვათ ამ დიალოგს და ამ დღეებში გაზეთ „ქუთაისში“ გამოქვეყნებული რეიდის მასალებს გავეცნოთ.

„ბაზრის სპეციფიკურ ხმაურს ხშირად ფარავდა ომახიანი შეძახილები.

— აბა მწვანილი, ქუთაისური მწვანილი, ქუთაისური...

თბილისის ორ ცენტრალურ ბაზარში იმ დღის წყალტუბოს რაიონის 300-მდე მკვიდრი ჰყიდდა მამასისხლად მწვანილს, იმათგან 100-ზე მეტი ბაკისუბნელი იყო“.

ახლა ხომ ხვდებით, პატივცემულო მკითხველო, საიდან არის თბილისის ბაზრებში ე. წ. „ქუთაისური მწვანილი“? ყველას უკვირდა, საიდან მოდიოდა დედაქალაქში უკვე მოარული გამოთქმები „ქუთაისური მწვანილი“, „ქუთაისელი მემწვანილე“. უკვირდათ, რადგან სოფლის მეურნეობის მეცნიერებას დღემდე არ მიუღწევია იმ დონემდე, ასფალტზე მწვანილი რომ მოიყვანონ. ახლა საქართველოში კი არა, მთელ ჩვენს ქვეყანაში იციან, ქუთაისში უშვებენ სატვირთო ავტომობილებს, სამთო ტრაქტორებს, ელექტრომანქანებს, ამზადებენ ლითოფონს, შაბიამანს, ძვირფას ბროლს, ბეწვს, აბრეშუმის ქსოვილს, მაუდს, საუკეთესო ფეხსაცმელს, სამკერვალო ნაწარმს. ქალაქის სამრეწველო საწარმოებში 900-მდე სხვადასხვა დასახელების პროდუქციას უშვებენ, მაგრამ მწვანილის დამზადება აქ ჯერ არ დაუწყიათ.

მტკიცება არ სჭირდება, რომ სოფლის მეურნეობაში ბოსტნეულის წარმოება ფრიად სასარგებლო და აუცილებელი საქმეა. წარჩინებულ მებოსტნეებს მთავრობის მაღალი ჯილდოებით უმშვენებენ მკერდს, მათს შესახებ ჟურნალ-გაზეთებში წერენ, გამრჯე მარჯვენას უქებენ. ასე რომ მოწინავე მებოსტნის სახელი ყველგან საამაყოა, მაგრამ მემწვანილე? ხალხმა სამართლიანად დააკნინა ზოგიერთი ვაიმებოსტნის სახელი, როცა მას მემწვანილე უწოდა, რადგან მასთან დაკავშირებულია აგრეთვე ვაჭრუკანობა, მომხვეჭელობა, მუქთახორობა. ასეთი მუქთახორული ცხოვრებით განსაკუთრებით გამოირჩევა ქუთაისთან ახლო მდებარე სოფლის ბაკისუბნის ბევრი, სამწუხაროდ, ბევრი მცხოვრები.

აი რას წერს გაზეთი „ქუთაისი“ ზემოხსენებულ რეიდის მასალებში. „საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1931 წლის 30 აგვისტოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 19 იანვრის დადგენილებებით ქალაქ ქუთაისის ფარგლებში შეტანილია ბაკისუბნის დასახლება. აქ მცხოვრებ მოქალაქეებს შეუნარჩუნდათ მიწის ნაკვეთები საკოლმეურნეო კომლთათვის დაწესებული ნორმით, რადგან ისინი ითვლებოდნენ წყალტუბოს რაიონის სოფელ ზედა მესხეთის კოლმეურნეობის წევრებად. აქ დაახლოებით ცხოვრობს 600-მდე ოჯახი. მათმა აბსოლუტურმა უმრავლესობამ დროთა განმავლობაში კავშირი გაწყვიტა კოლმეურნეობასთან.

წყალტუბოს რაიონის სოფელ ზედა მესხეთის კოლმეურნეობის ხელმძღვანელობამ ქუთაისის საქალაქო საბჭოს აღმასკომში გადმოგზავნა რწმუნებულთა საერთო კრების 1973 წლის 17 დეკემბრის დადგენილება, რომლითაც ბაკისუბნის 64 კომლი ჩათვლილია კოლმეურნეობიდან მექანიკურად გასულად და მოითხოვენ აღნიშნულ პირებს მიწის ნაკვეთები მიეცეს ქალაქში არსებული ნორმის მიხედვით.

საქალაქო საბჭოს აღმასკომის მიერ გამოყოფილმა კომისიამ ადგილზე შეამოწმა საქმის ფაქტიური მდგომარეობა და აღმოჩნდა, რომ კოლმეურნეობასთან კავშირი გაწყვეტილი აქვს თითქმის ყველა 600 ოჯახს, ზოგიერთი მათგანი მხოლოდ ფორმალურად აგრძელებს კავშირს კოლმეურნეობასთან. მაგალითად, ნინოშვილის ქუჩაზე მცხოვრები გიორგი სალდაძე კოლმეურნეობის წევრად ითვლება, ფაქტიურად კი ეწევა კერძო მეურნეობას, მისი ვაჟი გენადი გიორგის-ძე სალდაძე თვეობით იმყოფება თბილისში და საკოლმეურნეო ბაზრებზე ყიდის საკარმიდამო ნაკვეთზე მოყვანილ მწვანილს“.

აქვე, რეიდის ამ მასალებში მხილებული არიან მემწვანილე ქორვაჭრები აკაკი გიორგის-ძე ხომაშურიძე, შალვა ლავრენტის-ძე შამაშვილი, მურთაზ გივის-ძე ლოსაბერიძე, მიხეილ რომანოზის-ძე გიორგაძე და სხვ.

შორს წაგვიყვანდა ყველა მათგანის ჩამოთვლა, რაიონი მოიკითხავს, ქალაქის მცხოვრებნი ვართო გაიძახიან, ქალაქის მოკითხვაზე კი რაიონის მცხოვრებად ასაღებენ თავს.

და ყოველივე ეს ხდება დღისით, მზისით, ყველას თვალწინ. უფრო მეტიც, როგორც ირკვევა, სპეციალური სატვირთო ავტობუსიც კი დაინიშნა მარშრუტით თბილისი-ბაკისუბანი-თბილისი.

ვინც ერთხელ ყოფილა თბილისის ბაზრებში, უთუოდ დაგვეთანხმება, თუ როგორ მამასისხლად იყიდება ე. წ. „ქუთაისური მწვანილი“, როგორც ჩანს ამ მემწვანილეებს სინდისი ორ გროშად არ ულირთ.

სათანადო კონტროლი არ არის დაწესებული წყალტუბოს რაიონის სხვა სოფლებიდანაც მემწვანილეთა თარეშის ალსაკვეთად. ავტომანქანები 74-85 (აფხაზეთის კურორტვაჭრობა), № 04.76 (თბილისის საქმთავარმომარაგების ავტოსატრანსპორტო სამმართველო), № 70-88 (სოხუმის ავტოკოლონა 2654), № 22-04 (წყალტუბოს რაიონის სოფელ მუხიანის კოლმეურნეობა) სწორედ იმ დროს დააკავეს, როცა გეგუთიდან და მუხიანიდან გადაჰქონდათ მწვანილი თბილისში.

დედაქალაქის მშრომელთა სუფრას ყოველდღე სჭირდება ცოცხალი მწვანილი, მაგრამ მისი შეზიდვა უნდა ხდებოდეს ორგანიზებული წესით. ქორვაჭრებისა და მემწვანილეების თარეშს ბოლო უნდა მოეღოს.

**დ. გედენიძე,**
„კომუნისტის“ საკ. კორ.

## ამინდი

დღეს, 28 აპრილს, დასავლეთ საქართველოში მნიშვნელოვანი მოღრუბლულობა, წვიმა, სუსტი ქარი, ტემპერატურა ბარში 14-18, მთაში 6-11 გრადუსი სითბო; აღმოსავლეთ საქართველოში ცვალებადი მოღრუბლულობა, დასავლეთ რაიონებში წვიმა, დასავლეთის ქარი, ტემპერატურა ბარში 15-20, მთაში 3-8 გრადუსი სითბო.

თბილისში ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, ჩრდილო-დასავლეთის ქარი, ტემპერატურა 18-20 გრადუსი სითბო.

## ტელევიზია

### 28 აპრილი

**პირველი პროგრამით**

10.00 — გადაცემათა პროგრამა, 10.05 — ფერადი ტელევიზია. დილის ვარჯიში ბავშვებისათვის (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.20 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30—„ცხრაკლიტული“ —განმეორებით, 11.40 „ჯადოსნური ეკრანი“, 12.00 — საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ძალოსნობაში, 14.00 — „შევისწავლოთ რუსული ენა“, 14.50 — „საჭადრაკო სკოლა“, 15.15 — საქართველოს ფერადი ტელევიზია: „კინოდოკუმენტალისტის თვალით“, 16.05 — „ძმადნაფიც ქალაქთა მსოფლიო დღე“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 16.15 — „კინოაფიშა“, 16.35 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „ჭეშმარიტებასთან მიახლოება“, (ქართულ ენაზე), 17.25 — მოსწავლეთათვის „კოცონი“ — სატელევიზიო ჟურნალი, 18.00 — „საერთაშორისო პანორამა“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 18.30 — „ჯანმრთელობა“ სატელევიზიო პროგრამა, 18.55 — „ახალგაზრდა მუშის ფილარმონია“, 19.55 —სატელევიზიო ფილმი, 20.20 — „მოხმარება და მომხმარებელი“— სატელევიზიო ჟურნალი (რუსულ ენაზე), 21.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.10 — კინონარკვევი, 21.20 — „მუსიკალური სუვენირები“ — საესტრადო კონცერტი, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან); ჩემპიონატი ძალოსნობაში (გადაცემა თბილისიდან ცენტრალური ტელევიზიისათვის).

**მეორე პროგრამით**

18.05 — სატელევიზიო სპექტაკლი, 19.20 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. 1. დოკუმენტური ფილმი „მოთხრობა გაზაფხულზე“, 2. მხატვრული ფილმი „რესპუბლიკის მონაპოვარი“ (მეორე სერია), 21.30 — კონცერტი.

### 29 აპრილი

**პირველი პროგრამით**

17.00 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია ზოგად ფიზიკაში, 18.00 — „კონტინენტები, ქვეყნები, პრობლემები“, 18.20 — საქართველოს ფერადი ტელევიზია გასართობი შემეცნებითი პროგრამა ბავშვებისათვის „მოზაიკა“, 18.55 — რესპუბლიკის ახალი ამბები. (რუსულ ენაზე), 19.15 — გადავაქციოთ მეცხოველეობა „რენტაბელურ დარგად“, 19.35 — მხატვრული ფილმი — „კარპუხინი“, 21.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.30 — კონცერტი „ახალი გრამფირფიტები“, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — „სამოქალაქო ომის გმირი ეკრანზე — „ნესტორ კალანდარიშვილი“, 23.15 — ახალი ამბები.

**მეორე პროგრამით**

18.05 გაკვეთილები სკოლების დასახმარებლად მათემატიკა (VI კლასელთათვის ამოცანების ამოხსნა გეომეტრიის I-თავიდან), 18.30 — გეოგრაფია (VII კლასელთათვის), 19.15 — კინოპროგრამა, 20.10 — განცხადებები, ლექციები სტუდენტთა დასახმარებლად, 20.15 — ქიმიაში, 21.15 — ფილოსოფიაში.

## რადიო

### 29 აპრილი

**პირველი პროგრამით**

10.00 — ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.15 — „გმირი საჭესთან“. დოკუმენტური მოთხრობა, 11.05 — ვ. გოკიელი. საორკესტრო პიესები, 11.30 — უკანასკნელი ცნობები, 11.45 — „სანიმუშო სანიტარული წესრიგისათვის“. რეიდის მასალები, 12.10 — უკანასკნელი ცნობები, 12.15— ქართული ხალხური სიმღერები, 12.25 — „პოეზია უპირველეს ყოვლისა“ — ა. საჯაიას ლექსები, 12.30 — ბ. კვერნაძე. საფორტეპიანო პიესები, 12.40 — კომენტარი საერთაშორისო თემაზე, 12.45 — მღერის ი. კობზონი, 13.15 — ამინდის ბიუროს ცნობა, 13.30 —გაზეთ „პრავდის“ მოწინავე სტატია, 13.40 — ქართული ხალხური მუსიკა, 17.00 — უკანასკნელი ცნობები, 17.15 — მოსწავლეთათვის. რადიოდადგმა „იყო ერთი ბიჭი“, 18.00 — უკანასკნელი ცნობები, 18.05 — ქართული კამერული მუსიკის კონცერტი, 18.45 — ი. ფრენკელის სიმღერები, 19.00 — „ეკონომიური ცოდნის საფუძვლები“. საუბარი „პროდუქციის ხარისხი და წარმოების კულტურა“, 19.15 — ქართული ხალხური სიმღერები, 19.30 — უკანასკნელი ცნობები, 19.40 — მილიონთა ლენინური უნივერსიტეტი. საუბარი „ეკონომიური პროგრესი და სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების საერთაშორისო ავტორიტეტის ზრდა“, 21.45 — ი. იოსელიანი. „გამოცდა“. რად.დადგმა, 22.30 — უკანასკნელი ცნობები, 23.30 — შ. მშველიძე. საოპერო მუსიკა, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

## თეატრები

### 28 აპრილი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — **რომანტიკული სურათები** (დღისით), **ძუნწი რაინდი, სოფლის პატიოსნება** (საღამოს მე-2 აბონ. მე-2 წარმოდგენა); რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — **ხიდი** (საღამოს), რუსთაველის სახელობის მცირე დარბაზი — **სამანიშვილის დედინაცვალი** (საღამოს); კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — **მთვარის მოტაცება** (დღისით), **ტაკიმასხარა** (საღამოს); ვახო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — **თოვლიანი მთების მელოდიები**

[illegible]

# დ. ე. მესხი



გარდაიცვალა პერსონალური პენსიონერი, სკკპ წევრი 1919 წლიდან დავით ერმალოს-ძე მესხი.

იგი დაიბადა 1889 წელს რაჭის მაზრის სოფელ ქვიტკირ-წმინდაში ღარიბი გლეხის ოჯახში. 13 წლისა უკვე ქუთაისში იწყებს შეგირდად მუშაობას სხვადასხვა მშენებლობაზე.

1903 წელს პირველად მიიღო მონაწილეობა ქუთაისში გამართულ მუშების და მოსწავლეების პოლიტიკურ გამოსვლაში, შემდეგ მონაწილეობს ჭიათურის მუშათა შეიარაღებულ გამოსვლაში თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, ავრცელებს არალეგალურ ლიტერატურას, პირველი იმპერიალისტური ომის წლებში ფრონტზეა და ჯარისკაცთა შორის ეწევა აგიტაციას ომის წინააღმდეგ.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ რაჭის სამაზრო კომიტეტის დავალებით ეწევა პოლიტიკურ მუშაობას გლეხთა შორის. იყო ხოტევის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე.

1927 წელს თბილისში გადმოსვლის შემდეგ არჩეულ იქნა „სამშენის“ პარტორგანიზაციის მდივნად. საქართველოს კპ (ბ) VI ყრილობაზე არჩეული იყო ცენტრალური საკონტროლო კომისიის წევრად. მტკიცე ბოლშევიკის დ. მესხის ხსოვნა დიდხანს დარჩება მისი ამხანაგებისა და მეგობრების გულში.

**ამხანაგების ჯგუფი.**

## გასწორება

„კომუნისტის“ 27 აპრილის ნომერში მეოთხე გვერდზე დაბეჭდილ ლატარიის ოფიციალურ ცხრილში პირველი სვეტის ბოლოდან მეთერთმეტე სტრიქონი უნდა იკითხებოდეს:

10038 407 *) 200 მანეთი.

რედაქტორი
ი. [illegible]

კომუნისტი

[illegible]

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

КОМУНИСТИ ИНДЕКС 60443 უე 07526 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380008 თბილისი-8, ლენინის ქ. 14.